186
1980

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 4

ივლისი — აგვისტო

1980 წ.

123

ეროვნული
ბიბლიოთეკა

76645

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 4 ივლისი—აგვისტო 1980 წ.

შინაარსი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

54. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წ. 24 აპრილის № 305 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
55. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის თ. ფ. დავითაიას ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ.
56. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის დებულებისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრემიების „ხუთწლედის მატიანეს“ დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება

57. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1979 წლის 17 დეკემბრის № 813 დადგენილებით დამტკიცებულ საქართველოს სსრ მებაღეობის ამხანაგობათა (კოოპერატივთა) მუშაობის საკოორდინაციო საბჭოს (აგროკოოპის) დებულებებში დამატების შეტანის შესახებ.

ეროვნ. ბიბლ. საქ. სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

58. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსთან არსებული სახელმწიფო საუწყებათაშორისო საბიბლიოთეკო კომისიის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ.

59. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე საავტომობილო გზების ექსპლუატაციისა და დაცვის წესების შესახებ.

60. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 20 თებერვლის № 114 დადგენილების დამატების შესახებ.

61. ფინანსებისა და კრედიტის საკითხებზე საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

62. „ლიტერატურის ნაწარმოებთა საავტორო ჰონორარის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 28 იანვრის № 50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

63. საქართველოს სსრ ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა სარგებლობისათვის საჯარო ქირის განაკვეთების შესახებ.

64. სამინისტროთა და უწყებათა საკონტროლო-სარევიზიო სამსახურების მუშაკთა პრემირების ფონდის შექმნის შესახებ.

65. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს სისტემის იმ მუშაკთა პროფესიებისა და თანამდებობების ნუსხის დამტკიცების შესახებ, რომელთაც შეიძლება დაუწესდეთ დანამატი განაკვეთის ან სარგოს 30 პროცენტამდე ოდენობით.

66. „სრულიად საკავშირო და რესპუბლიკურ სამრეწველო გაერთიანებათა ზოგადი დებულებით გათვალისწინებული პირობებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მუშაობის ორგანიზაციის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 15 ნოემბრის № 749 დადგენილების ნაწილობრივი შეცვლის თაობაზე.

67. „სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა ბიუჯეტგარეშე სახსრების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 26 ივნისის № 527 დადგენილების შესაბამისად ბიუჯეტგარეშე სახსრებთან დაკავშირებული საკითხების განხილვის წესის თაობაზე.

68. მეცნიერების საკითხებზე საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთ დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

69. ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საკითხებზე საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

70. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს რესპუბლიკური პრემიების მოსაპოვებლად კონკურსების ჩატარების დებულებისა და საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებული რესპუბლიკური პრემიების კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.

71. „საქართველოს სს რესპუბლიკაში ელექტროენერგეტიკული დარგის ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებებისა და მისი განვითარების პერსპექტივების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 18 ივლისის № 578 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

54 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 24 აპრილის № 305 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„დიდი სამამულო ომის მონაწილეთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების დამატებით ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 21 თებერვლის № 175 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

შეტანილ იქნეს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 24 აპრილის № 305 დადგენილებაში ცვლილება და ამოღებულ იქნეს მე-8 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მესამე აბზაცდან სიტყვები: „I და II ჯგუფების“.

საქართველოს კპ
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი
ე. შევარდნაძე.

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე
ო. ჩერქეზია

ქ. თბილისი, 1980 წ. 22 ივლისი, № 615

55 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის თ. ფ. დავითაიას ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წინადადება თვალსაჩინო მეცნიერის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის თეოფანე ფარნას ძე დავითაიას ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ და ამასთან დაკავშირებით:

1. მიეკუთვნოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის თ. ფ. დავითაიას სახელი:

— ქალაქ თბილისის ოქტომბრის რაიონის ერთ-ერთ ქუჩას;

— ფოთის № 1 საშუალო სკოლას.

2. დაევალოს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს გაუკეთოს მემორიალური დაფა სახლს, რომელშიც ცხოვრობდა თ. ფ. დავითაია.

3. დაწესდეს თ. ფ. დავითაიას სახელობის ერთი სტიპენდია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასტიპენდიო ფონდიდან გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის ფრიადოსანი სტუდენტებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. ეთხოვოს საზღვაო ფლოტის სამინისტროს მიაკუთვნოს თ. ფ. დაგანოსა სახელი საქართველოს საზღვაო სანაოსნოსათვის მშენებარე ერთ-ერთ გემს.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **გ. კოლბინი.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

ქ. თბილისი, 1980 წ. 5 ავგისტო, № 647

56 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის დებულებისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრემიების „ხუთწლედის მატიანის“ დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის შესახებ და დებულება ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრემიების „ხუთწლედის მატიანის“ შესახებ.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 29 იანვრის № 61 დადგენილებით დამტკიცებული დებულება ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის საქართველოს სსრ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების შესახებ.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **გ. კოლბინი.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

ქ. თბილისი, 1980 წ. 26 ავგისტო, № 672

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 26 აგვისტოს № 672 დადგენილებით

დებულება

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის შესახებ

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტს, შემდგომ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტად წოდებულს, და მის პრეზიდიუმს შექმნიან საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

2. შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტისა და მისი პრეზიდიუმის შემადგენლობას დაამტკიცებენ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქაროველოს სსრ მინისტრთა საბჭო 5 წლის ვადით.

შენიშვნა: კომიტეტისა და მისი პრეზიდიუმის შემადგენლობის ცვლილებებს დაამტკიცებენ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

3. შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტს ეკისრება ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების, ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრემიების „ხუთწლედის მატიანის“ მინიჭება, აგრეთვე გ. ტაბიძის-სახელობის, ი. მაჩაბლის სახელობის, ზ. ფალიაშვილის სახელობის, კ. მარჯანიშვილის სახელობის პრემიების და ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის სხვა პრემიების მინიჭების კოორდინირება.

4. შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიებისა და საქაროველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრემიების „ხუთწლედის მატიანის“ მოსაპოვებლად წარდგენილ ნაწარმოებებს წინასწარ განიხილავს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის პრეზიდიუმი, რომელიც მიიღებს გადაწყვეტილებას კომიტეტის სხდომაზე განსახილველად ნამუშევართა შემდგომი დაშვების შესახებ.

პრეზიდიუმისა და კომიტეტის სხდომები უფლებამოსილად ჩაითვლება, თუ მათ დაესწრება პრეზიდიუმისა და კომიტეტის წევრთა ორი მესამედი. პრეზიდიუმის გადაწყვეტილებანი მიიღება, თუ მათ ხმა მისცა დამსწრეთა არანაკლებ სამმა მეოთხედმა. კენჭისყრის ფორმას (ღია, დახურული) განსაზღვრავს პრეზიდიუმი. შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის გადაწყვეტილებანი პრემიების მინიჭების შესახებ მიიღება, თუ მათ ფარული კენჭისყრის დროს ხმა მისცა დამსწრეთა არანაკლებ სამმა მეოთხედმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის გადაწყვეტილებანი ძალაში შევა მას შემდეგ, რაც მათ დაამტკიცებენ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის მუშაობის ორგანიზაციისა და ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით შექმნილია კომიტეტის აპარატი, რომელსაც უფლება აქვს:

— მოიწვიოს სექციებისა და საექსპერტო კომისიების სხდომები ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის ცალკეულ დარგებში;

— გაგზავნოს კომიტეტის წევრები, ექსპერტები და საექსპერტო კომისიები, რათა ადგილზე გაეცნონ თეატრალურ დადგმებს, მონუმენტური ხელოვნებისა და არქიტექტურის ნაწარმოებებს;

—მოიწვიოს პრემიების მოსაპოვებლად შემოსულ ნამუშევართა რეცენზირებისა და ექსპერტიზისათვის ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის ცალკეული სპეციალისტები; ამ სპეციალისტთა შრომა აანაზღაუროს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებული განაკვეთების მიხედვით.

7. დაწესებულებანი და ორგანიზაციები, რომლებშიც მუშაობენ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის წევრები, მოვალენი არიან გაათავისუფლონ ისინი მუშაობისაგან კომიტეტის სხდომების დროს.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტს აქვს გერბიანი ბეჭედი, ოთხკუთხა შტამპი და ანგარიში სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორაში.

დამტკიცებულია
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 26 აგვისტოს № 672 დადგენილებით

დებულება

ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრემიების „ხუთწლედის მატიანის“ შესახებ

1. ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრემიები „ხუთწლედის მატიანე“ მიენიჭებათ მაღალიდეური და მაღალმხატვრული ნაწარმოებებისათვის, რომლებიც ასახავენ თანამედროვეობის აქტუალურ პრობლემებს, რესპუბლიკის ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესებს, საბჭოთა ადამიანების მდიდარ სულიერ სამყაროს, მათს თავდადებულ ბრძოლას ხუთწლიანი გეგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მების შესრულებისათვის, ზრდიან მშრომელებს საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით.

2. პრემიები „ხუთწლედის მატიანე", თითო ორი ათასი მანეთის ოდენობით, მიენიჭება ყოველწლიურად თითო ლიტერატურის, მუსიკის, სახვითი ხელოვნების, თეატრის, კინოსა და ტელევიზიის, არქიტექტურის დარგში. პრემიები მიენიჭება ნაწარმოებებისათვის, რომლებიც შექმნილია უკანასკნელი ორი წლის მანძილზე, მინიჭების წლის ჩათვლით.*

შენიშვნა: პრემიის „ხუთწლედის მატიანის" მოსაპოვებლად არ მიიღება ნაწარმოებები, რომლებსაც მინიჭებული აქვთ ლენინური პრემია, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია და დარგობრივი პრემიები, მოძმე რესპუბლიკების სახელმწიფო პრემიები, აგრეთვე მთელი შემოქმედებითი მოღვაწეობის განმავლობაში შექმნილი რჩეული ნაწარმოებები.

3. ნაწარმოებთა განხილვა და პრემიის „ხუთწლედის მატიანის" მინიჭება ეკისრება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტს.

4. პრემიების „ხუთწლედის მატიანის" მოსაპოვებლად ნაწარმოებებს წარადგენენ შემოქმედებითი კავშირებისა და საზოგადოებათა გამგეობები ან პრეზიდიუმები, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია და მისი ინსტიტუტები, რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლები, სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები და უწყებები, გამომცემლობები, გაზეთებისა და ჟურნალების სარედაქციო კოლეგიები, აგრეთვე საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა კოლექტივების კრებები.

ნაწარმოებთა წარდგენა უნდა ხდებოდეს მათი იდეური და მხატვრული დონისადმი მაღალი მომთხოვნელობის, ნამუშევართა ობიექტური და დასაბუთებული განხილვის ვითარებაში.

5. პრემიების „ხუთწლედის მატიანის" მოსაპოვებლად წარდგენილ ნაწარმოებებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტი მიიღებს ყოველწლიურად არა უგვიანეს 1 ოქტომბრისა.

6. პრემიების „ხუთწლედის მატიანის" მოსაპოვებლად წარდგენილ უნდა იქნეს ნაწარმოებები, რომლებსაც საზოგადოებრიობა გაეცნო არა უგვიანეს 6 თვისა პრემიის მინიჭებამდე.

ლიტერატურის ნაწარმოებები შეიძლება წარდგენილ იქნეს მხოლოდ პრესაში დასრულებული სახით გამოქვეყნების შემდეგ, მუსიკის, სახვითი ხელოვნების, თეატრის, კინოსა და ტელევიზიის ნაწარმოებები — მას შემდეგ, რაც მათ ფართოდ გაეცნობა საზოგადოებრიობა კონცერტებზე, გამოფენებზე, თეატ-

* 1980 წელს პრემიების „ხუთწლედის მატიანის" მოსაპოვებლად შეიძლება დასახელებულ იქნეს უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე (1975-1980 წლებში) შექმნილი ნაწარმოებები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებში, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მეშვეობით, ხოლო არქიტექტურის ნაწარმოებები — მხოლოდ ობიექტების აგების დამთავრების შემდეგ.

7. პრემიების „ხუთწლედის მატიანის“ მოსაპოვებლად წარდგენილ ნაწარმოებთა ნუსხა ავტორთა აღნიშვნით გამოქვეყნდება პრესაში არა უგვიანეს 2 თვისა პრემიის მინიჭებამდე.

8. პრემიების „ხუთწლედის მატიანის“ მოსაპოვებლად წარდგენილი ნაწარმოებები ფართოდ უნდა განიხილონ შემოქმედებითმა კავშირებმა და საზოგადოებებმა, მხატვრულმა კოლექტივებმა, უმაღლესმა სასწავლებლებმა, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, აგრეთვე საჭიროა განხილულ იქნეს პერიოდულ პრესაში, რადიოთი და ტელევიზიით.

განხილვის მასალები დროულად უნდა გაეგზავნოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტს.

პრემიების მოსაპოვებლად წარდგენილ ნაწარმოებთა შესახებ შეუძლიათ თავიანთი აზრი აცნობონ ცალკეულმა პირებმა ან პირთა ჯგუფმა.

9. პრემიების „ხუთწლედის მატიანის“ მოსაპოვებლად წარდგენილ ნაწარმოებებს წინასწარ განიხილავს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის პრეზიდიუმი, რომელიც მიიღებს გადაწყვეტილებას კომიტეტის სხდომაზე განსახილველად ნამუშევართა შემდგომი დაშვების შესახებ.

10. შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის გადაწყვეტილება პრემიების „ხუთწლედის მატიანის“ მინიჭების შესახებ ძალაში შევა მას შემდეგ, რაც მათ დაამტკიცებენ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება პრემიების „ხუთწლედის მატიანის“ მინიჭების შესახებ გამოქვეყნდება პრესაში ახალი წლის წინ.

11. პირებს, რომლებმაც პრემია დაიმსახურეს, მიენიჭებათ წოდება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრემიის „ხუთწლედის მატიანის“ ლაურეატი“ და გადაეცემათ დიპლომი და სამკერდე ნიშანი.

12. ავტორთა კოლექტივისათვის პრემიის „ხუთწლედის მატიანის“ მინიჭებისას კომიტეტი ხელმძღვანელობს შემდეგით: ორ ავტორს შორის ფულადი პრემია განაწილდება თანაბრად; თუ კოლექტივი სამი ავტორისაგან შედგება, ხელმძღვანელს მიეცემა პრემიის ნახევარი, ხოლო დანარჩენი თანხა განაწილდება თანაბრად; თუ კოლექტივი ოთხი ან მეტი ავტორისაგან შედგება, ხელმძღვანელს მიეცემა პრემიის ერთი მესამედი, ხოლო ორი მესამედი განაწილდება კოლექტივის დანარჩენ წევრთა შორის თანაბრად; თუ ავტორთა კოლექტივი ხელმძღვანელს არ ასახელებს პრემია გაუნაწილდება კოლექტივის ყველა წევრს თანაბრად.

13. პრემიების „ხუთწლედის მატიანის“ მოსაპოვებლად ნაწარმოებთა და მასალების წარდგენის წესს განსაზღვრავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება

57 **საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1979 წლის 17 დეკემბრის № 813 დადგენილებით დამტკიცებულ საქართველოს სსრ მეგალეობის ამხანაგობათა (კოოპერატივთა) მუშაობის საკოორდინაციო საბჭოს (აგროკოოპის) დებულებაში დამატების შეტანის შესახებ**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1979 წლის 17 დეკემბრის № 813 დადგენილებით დამტკიცებულ საქართველოს სსრ მეგალეობის ამხანაგობათა (კოოპერატივთა) მუშაობის საკოორდინაციო საბჭოს (აგროკოოპის) დებულების მე-4 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „პ“ ქვეპუნქტი:

„პ) საჭიროებისდა მიხედვით ქმნის, გარდაქმნის და აუქმებს საწარმოებს, სამშენებლო, საპროექტო და სხვა სამეურნეო ორგანიზაციებს .სახალხო-სამეურნეო გეგმით განსაზღვრულ მუშაკთა რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, ხოლო საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციებს — აგრეთვე საქართველოს სსრ სახმშენთან შეთანხმებით.

უმტკიცებს მისდამი დაქვემდებარებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებს დებულებებს, საშტატო განრიგსა და ხარჯთაღრიცხვას“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**	საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე **თ. მოსაშვილი.**

ქ. თბილისი, 1980 წ. 27 აგვისტო, № 659

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

58 **საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსთან არსებული სახელმწიფო საუწყებათაშორისო საბიბლიოთეკო კომისიის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ**

მშრომელთა კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდისა და განათლების საქმის გაუმჯობესების, რესპუბლიკაში წიგნის ფონდის რაციონალურად გამოყენების, სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის უკეთ უზრუნველყოფისა და საქართველოს სსრ საბიბლიოთეკო საქმის კოორდინაციის ხელმძღვანელობის გაძლიერების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსთან შეიქმნას სახელმწიფო საუწყებათაშორისო საბიბლიოთეკო კომისია.

2. დამტკიცდეს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსთან არსებული სახელმწიფო საუწყებათაშორისო საბიბლიოთეკო კომისიის შემადგენლობა და ამ კომისიის დებულება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1980 წ. 7 ივლისი, № 552.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1980 წლის 7 ივლისის № 552
დადგენილებით

შემადგენლობა

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსთან არსებული სახელმწიფო საუწყებათაშორისო საბიბლიოთეკო კომისიისა

ო. ვ. თაქთაქიშვილი	— საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი, კომისიის თავმჯდომარე
ზ. ა. კვაჭაძე	— საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე
ლ. ნ. ოკლეი	— საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე
შ. ვ. ძიძიგური	— საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე
ი. ვ. გურგენიძე	— საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა სამმართველოს უფროსი რედაქტორი, კომისიის მდივანი
ი. ბ. გამრეკელი	— საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე
კ. ვ. გეგელაშვილი	საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. ს. გიორხელიძე — საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის მოადგილე

რ. დ. გორგილაძე — საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის გ. მიქელაძის სახელობის რესპუბლიკური სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკის დირექტორი

ჭ. ა. თევზაძე — თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანი

ა. კ. კავკასიძე — კარლ მარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის დირექტორი

ა. ი. კალანდარიშვილი — საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა სამმართველოს უფროსი

მ. კ. კობახიძე — საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე

დ. ა ლომთაძე — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორი

ლ. შ. ნადარეიშვილი — წიგნის მოყვარულთა ნებაყოფლობითი რესპუბლიკური საზოგადოების გამგეობის პასუხისმგებელი მდივანი

დ. ვ. როგავა — საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

ე. კ. სიხარულიძე — საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

გ. ზ. ტატიშვილი — საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე

ზ. გ. ჯინჭარაძე — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1980 წლის 7 ივლისის № 552
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსთან არსებული სახელმწიფო საუწყებათაშორისო საბიბლიოთეკო კომისიის შესახებ

1. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსთან არსებული სახელმწიფო საუწყებათაშორისო საბიბლიოთეკო კომისია არის საუწყებათაშორისო ორგანო, რომელიც ახორციელებს საბიბლიოთეკო საქმის კოორდინაციას რესპუბლიკაში. კომისია მუშაობს მჭიდრო კავშირში იმ სამინისტროებსა, უწყებებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, რომელთაც აქვთ საბიბლიოთეკო ქსელი. სამინისტროები, უწყებანი და საზოგადოებრივი ორგანიზაციები დაქვემდებარებული ბიბლიოთეკების ხელმძღვანელობას ახორციელებენ კომისიის გადაწყვეტილებათა, წინადადებათა და რეკომენდაციათა გათვალისწინებით.

2. სახელმწიფო საუწყებათაშორისო საბიბლიოთეკო კომისიის ძირითადი ამოცანებია:

ა) გაუწიოს კოორდინაცია სამინისტროთა, უწყებათა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საქმიანობას ყველა ტიპის ბიბლიოთეკებისადმი ხელმძღვანელობის დარგში სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა განხორციელებისათვის;

— აამაღლოს რესპუბლიკის მდიდარი წიგნის ფონდების გამოყენების ეფექტიანობა მშრომელთა განათლებისა და კომუნისტური აღზრდისათვის;

— გააძლიეროს ბიბლიოთეკების როლი მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა ფართოდ გავრცელების, სახალხო მეურნეობაში მათი სწრაფად დანერგვის, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის ბრძოლის საქმეში;

ბ) მოამზადოს წინადადებანი ბიბლიოთეკების განვითარების ძირითად მიმართულებათა შესახებ, ყველა კატეგორიის მკითხველთა საბიბლიოთეკო—ბიბლიოგრაფიული და საინფორმაციო მომსახურების გაუმჯობესების, მათთვის საზოგადოებრივი წიგნის ფონდების გამოყენების ფართო შესაძლებლობის გამონახვის მიზნით.

3. სახელმწიფო საუწყებათაშორისო საბიბლიოთეკო კომისიას ევალება:

ა) განიხილოს რესპუბლიკაში საბიბლიოთეკო საქმის განვითარების პერსპექტიული გეგმები და შეიმუშაოს წინადადებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ სამინისტროთა, უწყებათა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ურთიერთმოქმედებასა და შეთანხმებულობას;

ბ) შეიმუშაოს ბიბლიოთეკებისათვის რეკომენდაციები გამომცემლობებთან, წიგნის ვაჭრობის ორგანიზაციებთან, სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ორგანოებთან, რადიოსა და ტელევიზიასთან ურთიერთმოქმედების გაუმჯობესების მიზნით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) მონაწილეობა მიიღოს საბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტის ფონდების სისტემისა და ფონდების დეპოზიტარული დაცვის ორგანიზაციაში, აღმოფხვრას ბიბლიოთეკების ფონდების დაკომპლექტებაში არსებული დუბლირება;

— უზრუნველყოს ერთიანი საცნობო-ინფორმაციული ფონდების ბაზაზე ბიბლიოთეკებისა და ინფორმაციის ორგანოების შეთანხმებული მუშაობა, დანერგოს საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიული პროცესების მექანიზაცია;

დ) მოამზადოს წინადადებანი ბიბლიოთეკების ფონდების ფორმირებისა და გამოყენების საკითხებზე ახალი ლიტერატურით ბიბლიოთეკების დაკომპლექტების, წიგნების ტირაჟების განსაზღვრის, განმეორებით გამოცემებზე ბიბლიოთეკებისა და მშრომელთა მოთხოვნების გათვალისწინებით;

ე) შეიმუშაოს წინადადებანი კადრების მომზადების, ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის დარგში მეთოდური და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

4. სახელმწიფო საუწყებათაშორისო საბიბლიოთეკო კომისიას უფლება აქვს:

ა) მიიღოს გადაწყვეტილება მიმართული სამინისტროთა, უწყებათა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ბიბლიოთეკების მუშაობის კოორდინაციის გაუმჯობესებისათვის;

ბ) მიიღოს სამინისტროთა, უწყებათა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საუწყებო ბიბლოთეკებისაგან მასალები მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე, აგრეთვე შესაბამის სამინისტროებთან, უწყებებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან შეთანხმებით გაეცნოს მათდამი დაქვემდებარებული ბიბლიოთეკის მუშაობას;

გ) მოისმინოს სამინისტროთა, უწყებათა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლის ინფორმაცია მათი საუწყებო ბიბლიოთეკების საქმიანობაზე და სახელმწიფო საუწყებათაშორისო საბიბლიოთეკო კომისიის რეკომენდაციების შესრულების მიმდინარეობის შესახებ;

დ) შექმნას სამუშაო კომისიები და საექსპერტო ჯგუფები ბიბლიოთეკის საქმიანობის უმნიშვნელოვანესი საკითხების შესასწავლად და წინადადებათა მოსამზადებლად.

5. სახელმწიფო საუწყებათაშორისო საბიბლიოთეკო კომისია მუშაობს მის მიერ დამტკიცებული გეგმით. კომისიის გადაწყვეტილებანი ეგზავნებათ დაინტერესებულ სამინისტროებს, უწყებებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს სათანადო ზომების მისაღებად საბიბლიოთეკო საქმის სრულყოფისა და ბიბლიოთეკების მუშაობის კოორდინაციისათვის.

6. სახელმწიფო საუწყებათაშორისო საბიბლიოთეკო კომისია იკრიბება აუცილებლობის მიხედვით, მაგრამ წელიწადში ორჯერ მაინც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

59 საქართველოს სსრ ტერიტორიაზე საავტომობილო გზების ექსპლუატაციისა და დაცვის წესების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე საავტომობილო გზების ექსპლუატაციისა და დაცვის წესები, რომლებიც საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტრომ შეიმუშავა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის კომისიის წინადადებით და შეთანხმებულია საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, და შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1980 წლის 1 აგვისტოდან.

2. საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტრომ დაუგზავნოს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე საავტომობილო გზების ექსპლუატაციისა და დაცვის წესები საქვეუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებს.

3. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა უზრუნველყონ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე საავტომობილო გზების ექსპლუატაციისა და დაცვის წესების შესრულება საქვეუწყებო საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1980 წ. 11 ივლისი, № 562

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1980 წლის 11 ივლისის № 562
დადგენილებით

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე საავტომობილო გზების ექსპლუატაციისა და დაცვის წესები

I. ზოგადი დებულებანი

1. ეს წესები განსაზღვრავენ გზების* ექსპლუატაციის, დაცვისა და საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითად მოთხოვნებს, მიუხედავად მათი უწყებრივი კუთვნილებისა.

2. გზების სახეობებია:

— საერთო სარგებლობის გზები (საერთო-სახელმწიფო, რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის გზები);

— უწყებრივი დაქვემდებარების გზები (კოლმეურნეობათა, საბჭოთა მეურნეობათა, სხვა საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა გამგებლობაში არსებული გზები).

3. ეს წესები სავალდებულოა ყველა სამინისტროსათვის, უწყებისათვის, კოლმეურნეობისათვის, საბჭოთა მეურნეობისათვის, სხვა საწარმოსათვის, დაწესებულებისათვის, ორგანიზაციისა და მოქალაქისათვის საქართველოს სსრ ტერიტორიაზე.

უწყებრივი დაქვემდებარების გზებისათვის შესაბამის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს, სამინისტროებსა და უწყებებს შეუძლიათ შეიმუშაონ დამატებითი წესები, რომლებიც გაითვალისწინებენ მათზე საექსპლუატაციო სატრანსპორტო საშუალებათა თავისებურებებსა და მოძრაობის პირობების სპეციფიკას.

4. ყოველგვარ სატრანსპორტო საშუალებათა და თვითმავალ სამშენებლო, საგზაო და სხვა მანქანათა მძღოლებმა საავტომობილო გზაზე მოძრაობისას უნდა იცოდნენ წესები და თან ჰქონდეთ მოცემული ტიპის მანქანის მართვის უფლების დამადასტურებელი მოწმობა.

II. გზებზე საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითადი მოთხოვნები

1. საგზაო ორგანოები, საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, რომელთა გამგებლობაშიც შედის გზები (შემდგომში — გზების მფლობელნი), მოვალენი არიან შეინახონ ისინი ისეთ მდგომარეობაში, რომელიც უზრუნველყოფს საგზაო მოძრაობისათვის უსაფრთხო პირობებს, მიიღონ ზომები გზების ტექნიკური დონისა და საექსპლუატაციო თვისებების დროულად ამაღლებისათვის.

---

* ტერმინით „გზა“ ნაგულისხმევია სამოძრაოდ გამოყენებული ყოველგვარი გზა, ქუჩა, შესახვევი და ა. შ. მთელ სიგანეზე (ტროტუარების, გვერდულების, გაზონების, გამყოფი ზოლების, კიუვეტებისა და ფერდოების ჩათვლით).

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით გზის მფლობელნი მოვალენი არიან:

ა) სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციასთან ერთად შეისწავლონ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა წარმოქმნის მიზეზები, შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი მათი თავიდან აცილებისათვის;

ბ) სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციასთან, სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად განახორციელონ გზების გამოკვლევა იმისათვის, რათა განსაზღვრონ, შეესაბამებიან თუ არა ისინი მოძრაობის უსაფრთხოების მოთხოვნებს, აგრეთვე შესაძლებელია თუ არა აღნიშნულ გზებზე გაიხსნას საზოგადოებრივი ტრანსპორტის რეგულარული მოძრაობა.

გამოკვლევა უნდა განახორციელონ წელიწადში ორჯერ სპეციალურმა კომისიებმა, რომელთა შემადგენლობას დადგენილი წესით დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო;

გ) ზამთრობით უზრუნველყონ შეუფერხებელი მოძრაობა და ნორმალური საექსპლუატაციო მდგომარეობა გზებისა, რომლებიც საზამთრო მოვლა-შენახვას ექვემდებარებიან;

საზამთრო მოვლა-შენახვას ექვემდებარება ყველა საერთო-სახელმწიფო და რესპუბლიკური გზა, გარდა გზებისა, რომელთა სიას ყოველწლიურად განსაზღვრავს საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტრო.

ადგილობრივი მნიშვნელობის იმ გზების ნუსხას, რომლებიც საზამთრო მოვლა-შენახვას ექვემდებარებიან, განსაზღვრავენ შესაბამისი დადგენილებებით სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომები, ხოლო საუწყებო გზებისას — მათი მფლობელნი;

დ) დროულად აღადგინონ გზის საფარის სისწორე და ხორკლიანობა, უწინარეს ყოვლისა, სახიფათო ადგილებში (მცირე რადიუსის მრუდეები, გზაჯვარედინები, 50 პროცენტზე მეტი გრძივი ქანობიანი მონაკვეთები და საცალფეხო გადასასვლელები), აღმოფხვრან უსწორობანი ხიდებთან, გზაგამტარებთან რკინიგზის ლიანდაგებთან, ჭების სახურავებთან და სანიაღვრე კანალიზაციის ცხაურებთან შეუღლების ადგილებში:

ე) სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის ორგანოებთან შეთანხმებით და მოქმედი სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისად დააყენონ საგზაო ნიშნები, მოახდინონ გზის მონიშვნა (გარდა იმ ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტებისა, რომლებსაც სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის სპეციალიზებული სამონტაჟო-საექსპლუატაციო ქვეგანაყოფები ემსახურებიან);

ვ) მოქმედი ნორმების შესაბამისად დააყენონ ზღუდარები, ააგონ ავტოტრანსპორტის საღგომი ადგილები და დასასვენებელი მოედნები;

ზ) მიიღონ გადაუდებელი ზომები საგზაო ნიშნების და რეგულირების სხვა ტექნიკურ საშუალებათა დასაყენებლად, რათა გააფრთხილონ მძღოლები ლიპყინულიანობის, სავალი ნაწილის დანაგვიანებისა და ღაზიანების, აგრეთვე მოძრაობის შემაფერხებელი სხვა მიზეზების გამო სახიფათო გზის მონაკვეთების შესახებ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ) მიიღონ ზომები იმისათვის, რათა დროულად შეატყობინონ (რადიოთი, ტელევიზიით და ა. შ.) მოძრაობის მონაწილეებს მეტეოროლოგიური ვითარებისა და საგზაო მოძრაობის წესების მოსალოდნელ სახიფათო ცვლილებათა შესახებ;

ი) საერთო-სახელმწიფო და რესპუბლიკური მნიშვნელობის გზებზე შესაბამის ორგანიზაციებთან ერთად მიიღონ ზომები სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის, სახელმწიფო სამედიცინო და ტექნიკური დახმარების მუშაკთა გამოსაძახებელი ავარიული რადიოსატელეფონო კავშირის მშენებლობისათვის, მიიღონ მონაწილეობა ავტოგასაწყობი სადგურების, გზისპირა სასტუმროების, საზოგადოებრივი კვების საწარმოებისა და ავტოსერვისის სხვა ობიექტების მოსათავსებელი ადგილების შერჩევაში;

კ) მოაწყონ მშენებარე-სარემონტო უბნების შემოსავლელები, დროებითი ტროტუარები, შემოღობონ საგზაო სამუშაოთა წარმოების ადგილები;

ლ) გადაიტანონ სავალი ნაწილიდან უმოქმედო საგზაო მანქანები და მექანიზმები, ხოლო თუ ეს შეუძლებელია, აღნიშნონ ისინი კარგად დასანახი ბარიერებითა და საგზაო ნიშნებით, დღე-ღამის ბნელ დროს და არასაკმარისი ხილვადობის სხვა პირობებში — დამატებით სპეციალური სასიგნალო შუქით;

მ) მოაწყონ საზოგადოებრივი სამგზავრო ტრანსპორტის გასაჩერებელ პუნქტში სადგომი და საჯდომი მოედნები, მგზავრთა მოსაცდელი პავილიონები, ხოლო ქალაქებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში — გარე განათება:

ნ) განახორციელონ კონტროლი გზებზე ყოველგვარ სამუშაოთა წარმოებისადმი, რომლებიც დაკავშირებულია საგზაო პირობების, გზის სამოსის, მიწის ვაკისის დარღვევასთან:

ო) მიიღონ ზომები სავალი ნაწილის მტვრისაგან გასაწმენდად, უწინარეს ყოვლისა, დასახლებული პუნქტების ფარგლებში.

3. სატრანსპორტო საშუალებათა მძღოლები და მოქალაქენი, რომლებიც შეამჩნევენ გზებზე მოძრაობის უსაფრთხოების დამაბრკოლებელ უწესივრობას, მოვალენი არიან შეეცადონ აღმოფხვრან იგი საკუთარი ძალებით, ხოლო თუ ეს შეუძლებელია, დაუყოვნებლივ შეატყობინონ ამის შესახებ უახლოეს საგზაო ორგანოს, სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის საგუშაგოს ან მილიციის განყოფილებას.

4. სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციასთან და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად გზების გამოკვლევის აქტებში შეიტანება სამუშაოები, რომელთა შესრულება საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების რემონტისა და მოვლის სამუშაოთა კლასიფიკაციის ინსტრუქციის თანახმად ნებადართულია შესრულდეს გზების საშუალო რემონტისა და მოვლა-შენახვისათვის გამოყოფილი სახსრების ხარჯზე, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევებში — აგრეთვე კაპიტალური რემონტისათვის გამოყოფილი სახსრების ხარჯზე.

III. მოძრაობის შეზღუდვები

1. მოძრაობის დროებითი შეზღუდვები შეიძლება შემოღებულ იქნეს სტიქიური უბედურების, საგზაო-კლიმატური პირობების გაუარესების ან გაზაფხუ-

ბ. ბარამიძის ხელ. №1 ...

ლის პერიოდში გზის სამოსის გამტარუნარიანობის დაკარგვის შემთხვევებში, აგრეთვე სამშენებლო-სარემონტო სამუშაოთა წარმოებისას. შეზღუდვები შეიძლება შემოღებულ იქნეს მხოლოდ საგზაო ნიშნების, ძონიშვნისა და მოძრაობის ორგანიზაციის სპეციალურ საშუალებათა დახმარებით.

2. გადაწყვეტილებას მოძრაობის შეზღუდვის ან შეწყვეტის შესახებ მისი მოქმედების ვადის აღნიშვნით მიიღებენ:

ა) საერთო-სახელმწიფო და რესპუბლიკური მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე — რესპუბლიკის საგზაო ორგანოები სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციასთან შეთანხმებით;

ბ) ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე — სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომები;

გ) საუწყებო გზებზე — გზების მფლობელნი (სახალხო დეპუტატთა შესაბამისი ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებთან შეთანხმებით);

დ) ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების ქუჩებსა და გზებზე—სახალხო დეპუტატთა საქალაქო (სადაბო) საბჭოების აღმასკომები.

3. ინფორმაცია მოძრაობის დროებით შეზღუდვის ან შეწყვეტის შესახებ გზების მფლობელებმა აუცილებლად უნდა აცნობონ დაინტერესებულ საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებსა და მოქალაქეებს.

4. გადაუდებელ შემთხვევებში სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის ორგანოებს შეუძლიათ აკრძალონ ან შეზღუდონ მოძრაობა გზის ცალკეულ უბნებზე, როცა აღნიშნული უბნებით სარგებლობა საფრთხეს უქმნის საგზაო მოძრაობას, ამასთან ეს დაუყოვნებლივ აცნობონ გზის მფლობელს მიზეზების აღნიშვნით.

IV. გზებით სარგებლობის წესი და მათი დაცვა-შენახვის უზრუნველყოფა

1. საავტომობილო გზებზე დასაშვებია მხოლოდ წესივრულ სატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობა, რომლებიც უზრუნველყოფენ მოძრაობის უსაფრთხოებას, გზებისა და საგზაო ნაგებობათა დაუზიანებლობას.

მილიციისა და სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის ორგანოები ხელს უწყობენ საგზაო ორგანოებს საავტომობილო გზებისა და საგზაო ნაგებობათა დაცვა-შენახვის უზრუნველყოფაში.

2. საერთო სარგებლობის გზებზე სატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობა დასაშვებია მხოლოდ სავალ ნაწილზე. გვერდულებზე შესვლა ნებადართულია მხოლოდ ვიწრო და ერთზოლიან გზებზე გასწრების ან აქცევის დროს, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალებათა ხანმოკლე გაჩერებისათვის.

3. გზებზე აკრძალულია:

ა) სავალი ნაწილის, გვერდულების, ტროტუარების, საცალფეხო და საველოსიპედო ბილიკების, ავტოპავილიონებისა და სხვა ნაგებობების, საგზაო ნიშნების, შუქნიშნების, გასანათებელი მოწყობილობების, ზღუდარებისა და მწვანე ნარგავების დაზიანება;

ბ) საგზაო, სამშენებლო და სხვა თვითმავალი მანქანებისა და მექანიზმების მოძრაობა, რომელთა მუხლუხებმა ან სამუშაო ორგანოებმა შეიძლება და-

აზიანონ გზის საფარი, საგზაო ნაგებობანი, რკინიგზის ლიანდაგები ან მანქანები, ბილობანი რკინიგზის გადასასვლელებზე, აგრეთვე კეთილმოწყობილი განთვისების ზოლი იმ შემთხვევებში, როცა იგი განკუთვნილი არაა აღნიშნული მანქანებისა და მექანიზმების მოძრაობისათვის;

გ) ბანაკების, კარვებისა და სხვა დასასვენებელ ნაგებობათა მოწყობა გზიდან 200 მეტრზე ახლო;

დ) ნიადაგის მოხვნა კიუვეტის გარე კიდიდან, ჭრილის პირიდან ან ყრილის ძირიდან 1 მეტრზე ახლო;

ე) ცეცხლის დანთება გზის განთვისების ზოლში, ხიდებზე, ხიდების ქვეშ მათგან 200 მეტრზე ახლო;

ვ) სატრანსპორტო საშუალებათა, სასოფლო-სამეურნეო და სხვა ტექნიკის ასვლა-ჩამოსვლა გზებზე და მათი გადასვლა საამისოდ დაუწესებელ ადგილებში;

ზ) ქვიშისა და ხრეშის კარიერების დამუშავება მდინარეთა ჭალებში ხიდების ზემოთ და ქვემოთ 1 კილომეტრზე ნაკლებ მანძილზე;

თ) თამბაქოს მოწევა ხის ხიდებზე და ხისფენილიან ხიდებზე, გზის განთვისების ზოლში ადვილფეთქებადი და საწვავი მასალების დაწყობა (საერთო დაწყობის ნებართვის არსებობისას) უსაფრთხოების მოთხოვნების დაუცველად;

ი) საწვავ-საპოხი მასალების დაღვრის შესაძლებლობასთან დაკავშირებულ სამუშაოთა შესრულება, ტვირთების დატვირთვა-გადმოტვირთვა გზის სავალ ნაწილზე;

კ) სავალი ნაწილის, წყალგამტარი და სხვა საგზაო ნაგებობების დანაგვიანება, აგრეთვე ისეთი ტვირთების გადაზიდვა, რომლებიც ანაგვიანებენ სავალ ნაწილს, გვერდულებსა და განთვისების ზოლს;

ლ) გზებისა და საგზაო ნაგებობათა გადაღობვა და ჩახერგვა საშენი მასალებით. მანქანებითა და მექანიზმებით;

მ) პირუტყვის გადარეკვა სავალი ნაწილის სრულყოფილი საფარის არსებობისას, აგრეთვე ტროლეიბუსის მოძრაობის დროს;

ნ) პირუტყვის ძოვება მუდმივი მეთვალყურეობის გარეშე გზის ვაკისიდან 100 მეტრზე ახლო მანძილზე;

ო) გზის კიუვეტების (თხრილების) გამოყენება სასოფლო-სამეურნეო კულტურების სარწყავად, რაც იწვევს საავტომობილო გზების დატბორვას და განთვისების ზოლის დაჭაობებას;

პ) გზის ყრილების ან ჭრილების გვერდულებსა და ფერდობებზე განლაგებული მოქმედი კავშირგაბმულობისა და ელექტროგადამცემი ხაზების რეკონსტრუქციის სამუშაოთა წარმოება საგზაო ორგანოებთან შეუთანხმებლად;

ჟ) გზების გამწვანების სამუშაოთა წარმოება, საგზაო ორგანოების გარეშე და მათთან შეუთანხმებლად;

გარდა ამისა, საერთო-სახელმწიფო და რესპუბლიკური მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე აკრძალულია პირუტყვის გადარეკვა, თუ საამისოდ მოწყობილი არ არის გვირაბები, ესტაკადები ან შესაბამისი საგზაო ნიშნებით მითითებული ადგილები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. რესტორანების, სასადილოების, ბუფეტების, მაღაზიების, კიოსკების, სასადილოების განლაგების ადგილებში ორგანიზაციებმა, რომლებიც ამ ნაგებობებს იყენებენ, უნდა შექმნან კეთილმოწყობილი მოედნები ავტოტრანსპორტის სადგომად გზებიდან მისასვლელებით, რაც გამორიცხავს გზის ზოლის დანაგვიანების შესაძლებლობას.

5. საგზაო ორგანოებთან და სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციასთან შეუთანხმებლად გზებზე აკრძალულია:

ა) ისეთ სატრანსპორტო საშუალებათა გავლა, რომელთა საერთო გაბარიტები, წონა და ღერძის დატვირთვა ტვირთით ან უტვირთოდ აღემატება დაწესებულ ნორმებს (პირველი და მეორე კატეგორიის გზებისათვის—10 ტონაზე მეტი ღერძზე და მესამე, მეოთხე და მეხუთე კატეგორიის გზებისათვის—6 ტონა) ან საგზაო ნიშნებზე მითითებულს;

ბ) სავალი ნაწილის, ტროტუარებისა და გვერდულების დაზიანებასთან დაკავშირებულ რაიმე სამუშაოთა წარმოება;

გ) საავტომობილო გზებთან შეთავსებული კაშხალებისა და სხვა სპეციალური სამელიორაციო და ჰიდროტექნიკური ნაგებობების რემონტი და რეკონსტრუქცია;

დ) რკინიგზის ლიანდაგების ამაღლება და დადაბლება ან დამატებითი ლიანდაგის დაგება ერთ დონეზე საავტომობილო გზებთან გადაკვეთის ადგილზე;

ე) რკინიგზის გადასასვლელების მოწყობა, რეკონსტრუქცია, რემონტი და ლიკვიდაცია;

ვ) კიოსკების, პავილიონების ან ისეთი ნაგებობების მოთავსება, რომლებიც ზღუდავენ ხილვადობას, ტრანსპარანტების, აბრების, რეკლამების დაყენება;

ზ) გარე განათების მოწყობა;

თ) სპორტულ და სხვა მასობრივ ღონისძიებათა, აგრეთვე ავტომობილების, ტრაქტორებისა და სხვა მექანიზმების საქარხნო გამოცდის განხორციელება, რაც აბრკოლებს მოძრაობას;

ი) რკინიგზებთან და საავტომობილო გზებთან, არხებთან, კავშირგაბმულობისა და ელექტროგადამცემ ხაზებთან, გაზსადენებთან, წყალსადენებთან და სხვა საინჟინრო კომუნიკაციებთან საავტომობილო გზების გადაკვეთის მოწყობა, ამ ნაგებობათა გაყვანა საავტომობილო გზების გასწვრივ და განთვისების ზოლის ფარგლებში, აგრეთვე საავტომობილო გზებთან შეერთებისა და საავტომობილო გზებიდან ასასვლელ-ჩასასვლელების მოწყობა.

6. საავტომობილო გზასთან ერთ დონეზე განლაგებულ რკინიგზის ლიანდაგებზე გადასასვლელებს უვლიან რკინიგზის ადმინისტრაცია ან შესაბამისი მისასვლელი რკინიგზის ლიანდაგების მფლობელნი.

რკინიგზის ლიანდაგებს ზემოთ საავტომობილო გზაგამტარებს უვლიან საგზაო ორგანიზაციები, ხოლო საავტომობილო გზებს ზემოთ სარკინიგზო გზაგამტარებს — რკინიგზის ადმინისტრაცია.

7. სამინისტროებსა და უწყებებს შეუძლიათ დააპროექტონ და აშენონ ობიექტები, აგრეთვე გააფორმონ მცირე არქიტექტურული ფორმები რესპუბლიკის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგისტრალური გზების გასწვრივ მხოლოდ მას შემდეგ, რაც დაპროექტებულ ვალებებს შეუთანხმებენ საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს საარქიტექტურო-სამხატვრო საბჭოს.

საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს უფლება აქვს შეაჩეროს ობიექტების მშენებლობა, რაც მაგისტრალური საავტომობილო გზების განაშენიანების, კეთილმოწყობისა და გამწვანების პროექტის, აგრეთვე სამშენებლო კანონმდებლობის დარღვევით ხორციელდება, და აღძრას შესაბამისი ორგანოების წინაშე საკითხი მაგისტრალური საავტომობილო გზების განაშენიანების, კეთილმოწყობისა და გამწვანების პროექტის დარღვევით ობიექტების მშენებლობის წარმოებისათვის დამნაშავე პირთა პასუხისმგებლობის შესახებ.

8. დაწესდეს, რომ საავტომობილო გზების გასწვრივ მიწისქვეშა საინჟინრო კომუნიკაციების გაყვანა უნდა განხორციელდეს მოქმედი ნორმების შესაბამისად, მაგრამ არაუახლოეს გზების ქსელის შემდგომი რეკონსტრუქციისათვის საჭირო მანძილისა (არსებული გზის ღერძიდან): პირველი კატეგორიის გზებზე — 23 მეტრი, მეორე და მესამე კატეგორიის გზებზე — 15 მეტრი, მეოთხე კატეგორიის გზებზე — 10 მეტრი.

რაიმე კომუნიკაციების გაყვანა უშუალოდ გზის ვაკისზე აკრძალულია.

9. საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც ასრულებენ რაიმე სამუშაოებს გზის ან მისი განთვისების ზოლის ფარგლებში, ეკისრებათ სრული პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ დაიცვან საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს მიერ გაცემული ტექნიკური პირობები, ამ სამუშაოთა განხორციელების ვადები და უზრუნველყონ მოძრაობის უსაფრთხოება მათი წარმოების ზონაში და დროებითს ასასვლელ-ჩასასვლელებზე.

10. საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებანი და მოქალაქენი, რომლებიც თვითნებურად აშენებენ საავტომობილო გზების მიერთებას ან გადაკვეთას, დააზიანებენ საავტომობილო გზებს, საგზაო ნაგებობებსა და მოწყობილობებს, აგრეთვე თვითნებურად აწარმოებენ სამუშაოებს, მოაწყობენ და დააყენებენ ნაგებობებს, საგზაო მეურნეობისათვის მიყენებულ მატერიალურ ზარალს აანაზღაურებენ მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამასთანავე საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებანი და მოქალაქენი საგზაო ორგანოების მოთხოვნით და ამ ორგანოების მიერ დაწესებულ ვადებში მოვალენი არიან საკუთარი ძალებითა და სახსრებით აიღონ მათ მიერ აშენებული ნაგებობანი და წესრიგში მოიყვანონ მიწის ნაკვეთი.

მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად ამ პუნქტის შესაბამისად გადახდილი ფულადი სახსრები გადაირიცხება შესაბამის საგზაო ორგანოთა საანგარიშგებო ანგარიშებზე და გამოყენებულ იქნება საავტომობილო გზებისა და საგზაო ნაგებობათა შესარემონტებლად და აღსადგენად.

11. საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და უმაღლესი კატეგორიის გზების მშენებლობის განვითარებისათვის საჭირო პირობების დაცვის მიზნით აკრძალულია საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროსთან და საქართველოს სსრ სახმშენთან წინასწარ შეუთანხმებლად დასახლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული პუნქტების, შენობათა და ნაგებობათა დაპროექტება და მშენებლობა ერთო-სახელმწიფო და რესპუბლიკური მნიშვნელობის გზების ღერძიდან 100 მეტრზე ახლო.

12. გაუმჯობესებულსაფარიან გზებთან ყველა შეერთებას უნდა ჰქონდეს მაგარი საფარი მოქმედი ნორმების შესაბამისად.

მაგარ საფარს გადამკვეთ და მიერთებულ გზებზე დააგებენ ორგანიზაციები, რომელთა გამგებლობაშიც შედის გადამკვეთი ან მიერთებული გზები, ძირითადი გზის საგზაო სამსახურის ტექნიკური კონტროლით.

13. საწარმოები, დაწესებულებანი და ორგანიზაციები, რომლებიც ასრულებენ მიწის ან სხვა სამშენებლო სამუშაოებს, მოვალენი არიან გაუმჯობესებულსაფარიან გზებზე სატრანსპორტო საშუალებათა ასვლის ადგილებში უზრუნველყონ თვლების გაწმენდა ტალახისაგან ან მისი განუწყვეტლივ აღება სავალი ნაწილიდან.

14. გზების მიწის ვაკისის ქვემოთ განლაგებულ მიწისქვეშა კომუნიკაციათა მფლობელი საწარმოები და ორგანიზაციები მოვალენი არიან გზების რეკონსტრუქციის ან კაპიტალური რემონტის აუცილებლობის კვალობაზე გაიტანონ კომუნიკაციები თავიანთი სახსრებისა და მასალების ხარჯზე.

15. გზების განთვისების ზოლის მიმდებარე ნაკვეთების მიწათმოსარგებლენი მოვალენი არიან მათთვის მიჩენილი მიწის ნაკვეთების ფარგლებში:

ა) ქალაქებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში მოაწყონ, შეარემონტონ და მოუარონ ტროტუარებსა და საცალფეხო ბილიკებს;

ბ) იქონიონ წესიერულ მდგომარეობაში მათთვის მიჩენილი ნაკვეთების გზასთან მიერთებანი;

გ) ხელი შეუწყონ მწვანე ნარგავების, ყვავილნარების ჯეროვნად მოვლა-შენახვას;

დ) იქონიონ წესიერულ მდგომარეობაში გზის მომიჯნავე ღობეები და ნაგებობანი შეღებილი ფასადებით;

ე) არ დაუშვან ქვის, ფიჩხის, კონსტრუქციებისა და სხვა მასალების დაწყობა მიწის ვაკისის კიდიდან 10 მეტრზე ახლო.

16. მეცხოველეობისა და მეფრინველეობის მეურნეობანი, რომელთა მიწები ესაზღვრება გზების განთვისების ზოლს, მოვალენი არიან მოაწყონ ამ მეურნეობათა ფერმების გასწვრივ ღობე ან მესერი, რაც გამორიცხავს გზების სავალ ნაწილზე და განთვისების ზოლში პირუტყვისა და ფრინველის შეღწევის შესაძლებლობას.

V. პასუხისმგებლობა საავტომობილო გზებისა და ქუჩების ექსპლუატაციის წესების დარღვევისათვის

1. ამ წესების მოთხოვნათა დარღვევისათვის საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა თანამდებობის პირებსა და მოქალაქეებს დაეკისრებათ პასუხისმგებლობა სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. კონტროლი ამ წესების შესრულებისადმი ეკისრებათ საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს.

60 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 20 თებერვლის № 114 დადგენილების დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინასტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. იმასთან დაკავშირებით, რომ სსრ კავშირის სახმშენმა გადაწყვიტა საქართველოს სს რესპუბლიკაში მშენებარე საცხოვრებელი სახლების ლოჯიების შემინვის საკითხი, „თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო მეურნეობის სამმართველოს სპეციალიზებულ ტრესტთან საცხოვრებელი სახლების ფასადების სარემონტო და სარესტავრაციო სამმართველოს შექმნის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 20 თებერვლის № 114 დადგენილების მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. წინათ აშენებულ საცხოვრებელ სახლებში დამხმარე საზაფხულო სადგომების (ლოჯიების) შემინვა განხორციელდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 12 სექტემბრის № 1102 განკარგულების შესაბამისად.

დაევალოთ ლოჯიებიანი ტიპობრივი საცხოვრებელი სახლებისა და განმეორებით გამოყენებული პროექტების მიხედვით მშენებარე სახლების მშენებლობის განმხორციელებელ სამინისტროებსა და უწყებებს აწარმოონ ლოჯიების შემინვა იმ ვარაუდით, რომ აღნიშნულ სამუშაოთა დანახარჯები შეიტანონ შენობათა მშენებლობის ხარჯთაღრიცხვებში. ახლად მშენებარე საცხოვრებელ სახლებში ლოჯიების აღნიშნული შემინვა უნდა განხორციელდეს საბინაო მშენებლობისათვის გამოყოფილ საერთო კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე, საცხოვრებელი ფართობისა და ძირითადი ფონდების დაგეგმილი საექსპლუატაციოდ გადაცემის შეუმცირებლად.

უნდა შეიმინოს არანაკლებ 180 სანტიმეტრი სიღრმის ლოჯიები საქართველოს სსრ სახმშენის მიერ მოქმედი ტიპობრივი პროექტების დამატებით დამტკიცებული პროექტების მიხედვით“.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 20 მაისის № 407 დადგენილება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1980 წ. 11 ივლისი, № 563

ეროვნული ბიბლიოთეკა

61 ფინანსებისა და კრედიტის საკითხებზე საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

ფინანსებისა და კრედიტის შესახებ საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის კრებულის მომზადებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებანი, თანდართული ნუსხის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია**

ქ. თბილისი, 1980 წ. 22 ივლისი, № 586

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1980 წლის 22 ივლისის № 586
დადგენილებით

ნ უ ს ხ ა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებისა, რომლებმაც ძალა დაკარგეს ფინანსებისა და კრედიტის შესახებ საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის კრებულის მომზადებასთან დაკავშირებით

1. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის 4 ივლისის დადგენილება „სასოფლო ცეცხლგამძლე და სეისმომძლე მშენებლობის დაკრედიტების ფონდის შესახებ“ (საქართველოს სსრ კან. კრ. 1932 წ., № 20, მუხ. 174).

2. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის 10 აპრილის დადგენილება „ადგილობრივი ბიუჯეტების მომწესრიგებელი რესპუბლიკური ფონდის შექმნისა და 1933 წელს ამ ფონდის შემავსებელი წყაროების შესახებ“ (საქართველოს სსრ კან. კრებ., 1933 წ., № 10, მუხ. 142).

3. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის 7 აგვისტოს დადგენილება „გადასახადის და არაგადასახადი გადასახდელის მენარჩენეთა ქონების აწერის, შეკვრის და გაყიდვის წესებისა, გადასახადის და არასაგადასახადო გადასახდელის ნარჩენის გადახდევინება მიქცეული სხვადასხვა სახის ქონების ნუსხისა და გადასახადისა და ჯარიმის გადაუხდელობისათვის კერძო საწარმოთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დახურვის წესების დამტკიცების შესახებ". (საქართველოს სსრ კან. კრ., 1935 წ., № 23, მუხ. 290).

4. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წლის 23 იანვრის დადგენილება „1935 წელს საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებისათვის დადგენილი გამოსაღებით კოლექტიური მეურნეობებისა და ერთპიროვნული საგლეხო მეურნეობების დაბეგვრის შესახებ" (საქართველოს სსრ კან. კრ., 1935 წ., № 3, მუხ. 15).

5. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1942 წლის 18 მაისის № 833 დადგენილება „გერმანელთა ყოფილ კოლმეურნეობებში გადმოსახლებულ კოლმეურნეთათვის სამეურნეო მოწყობისათვის და ძროხების შესაძენად გამოყოფილი კრედიტის განაწილების შესახებ".

6. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1943 წლის 3 მარტის № 262 დადგენილება „საქართველოს სსრ მიწსახკომის ლიმონ-მანდარინის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის ფინანსური მდგომარეობის შესახებ".

7. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 9 თებერვლის № 101 დადგენილება „სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისა და სამამულო ომის ინვალიდებისათვის პირუტყვის შესაძენად გამოყოფილი სასოფლო-სამეურნეო კრედიტის განაწილების შესახებ".

62 „ლიტერატურის ნაწარმოებთა საავტორო ჰონორარის შესახებ" საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 28 იანვრის № 50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის წინადადება და:

ა) „ლიტერატურის ნაწარმოებთა საავტორო ჰონორარის შესახებ" საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 28 იანვრის № 50 დადგენილებაში „გ" განყოფილების მე-10 პუნქტი იკითხებოდეს შემდეგი რედაქციით:

შედგენისათვის	ჰონორარის განაკვეთი მანეთობით საავტორო თაბახში (40000 ნაბეჭდი ნიშანი)
10. უძველესი დროიდან 1850 წლამდე შექმნილ და დღემდე გამოუქვეყნებელ ხელნაწერთა ძებნა და შერჩევა, მათი რედაქტირება და დასაბეჭდად ხელმისაწვდომ მდგომარეობაში მოყვანა	150-300

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) აღნიშნული ცვლილება განხორციელდეს ბიუჯეტთან ურთიერთობის შეუცვლელად;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1980 წ. 22 ივლისი, № 591

63 საქართველოს სსრ ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა სარგებლობისათვის საიჯარო ქირის განაკვეთების შესახებ

საქართველოს სსრ ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების საქმის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს 1981 წლის 1 იანვრიდან საქართველოს სსრ ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლებით სარგებლობისათვის საიჯარო ქირის განაკვეთი № 1 და 2 დანართების თანახმად.

2. საიჯარო ქირისაგან მიღებული სახსრები ჩაირიცხოს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს ანგარიშში და გამოყენებულ იქნეს საქართველოს სსრ ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა მოვლა-პატრონობისათვის.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს 1981 წლის 1 იანვრიდან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 11 ივლისის № 847 დადგენილება „არქიტექტურის ძეგლებით სარგებლობისათვის საიჯარო ქირის განაკვეთების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია**

ქ. თბილისი, 1980 წ. 4 აგვისტო, № 612.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1980 წლის 4 აგვისტოს № 612 დადგენილების დანართი № 1

ჟირის განაკვეთი

საქართველოს სსრ ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლებით საჯარო სარგებლობისა

(მანეთობით 1 კვმ წელიწადში)

ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა გამოყენების ხასიათი	ქალაქი თბილისი	რაიონული ცენტრები და სოფლები	სხვა ქალაქები
გამოყენების ხასიათი			
ქვის ნაგებობა	10	6	8
ხის ნაგებობა	8	2	4
შერეული ნაგებობა	9	4	6
სავაჭრო სადგომები			
ქვის ნაგებობა	15	10	12
ხის ნაგებობა	10	3	6
შერეული ნაგებობა	13	10	7
სასაწყობო სადგომები			
ქვის ნაგებობა	8	5	6
ხის ნაგებობა	4	2	3
შერეული ნაგებობა	6	3	5
ადმინისტრაციის სადგომები			
სამეურნეოანგარიშიანი ორგანიზაციებისათვის . .	6	5	4
საბიუჯეტო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის	4	2	3
სამრეწველო საწარმოებისათვის	7	5	4
კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციების, კერძო პირების საცხოვრებელი და სამეურნეო სადგომებისათვის	1,5	0,7	1
ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა	3	1	2

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე ა. ხუნწარია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1980 წლის 4 აგვისტოს № 612
დადგენილების დანართი № 2

საიჯარო გადასახადი

ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლებზე კინო და ტელეფილმების გადაღებისათვის

დოკუმენტური ფილმის გადაღებისათვის	— 25 მან. გადაღება — დღე
სამეცნიერო-პოპულარული ფილმის გადაღებისათვის	— 50 მან. გადაღება — დღე
მხატვრული ფილმის გადაღებისათვის	— 100 მან. გადაღება — დღე
ტელეფილმების გადაღებისათვის	— 30 მან. ვადაღება — დღე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია**

64 სამინისტროთა და უწყებათა საკონტროლო-სარევიზიო სამსახურების მუშაკთა პრემირების ფონდის შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის სამინისტროები და უწყებები და მათი საკონტროლო--სარევიზიო აპარატები გარკვეულ მუშაობას ეწევიან გაერთიანებათა, საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობისადმი კონტროლის უზრუნველსაყოფად. 1979 წელს საუწყებო საკონტროლო-სარევიზიო სამსახურებმა ჩაატარეს 3.808 რევიზია და გამოავლინეს 20,7 მილიონი მანეთის ფულადი სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა უკანონოდ ხარჯვისა და დანაკლისის ფაქტები. მაგრამ საკონტროლო-სარევიზიო მუშაობის საერთო დონე ჯერ კიდევ არ შეესაბამება „რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში საკონტროლო-სარევიზიო მუშაობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 18 ივნისის № 361 დადგენილების და კონტროლის საკითხებზე რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების სხვა გადაწყვეტილებათა მოთხოვნებს.

საკონტროლო-სარევიზიო მუშაობის შემდგომი სრულყოფისა და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებაში საუწყებო და არასაუწყებო კონტროლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

როლისა და ეფექტიანობის ამაღლების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. გამოეყოთ ყოველწლიურად საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სარეზერვო ფონდიდან 160 ათას მანეთამდე გაერთიანებათა, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის რევიზიების მაღალ დონეზე ჩატარებისათვის, გამოვლენილ დარღვევათა ოპერატიულად აღმოფხვრისა და მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად ზომების ძიებებისათვის სამინისტროთა და უწყებათა საკონტროლო-სარევიზიო სამსახურებიის მუშაკთა პრემირების მიზნით.

ამ მიზნით გამოყოფილ თანხებს ეწოდოს რევიზორთა აპარატის პრემირების ფონდი.

2. დაწესდეს, რომ:

— რევიზორთა აპარატის პრემირების ფონდის ხარჯზე პრემიები მიეცემათ მხოლოდ იმ მუშაკებს, რომლებიც რესპუბლიკის სამინისტროთა და უწყებათა საკონტროლო-სარევიზიო აპარატს მიეკუთვნებიან, ცეკავშირის სისტემის, საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა საბჭოს და მისი საქვეუწყებო ორგანიზაციების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, აგრეთვე იმ ორგანიზაციების გარდა, რომელთა აპარატის შენახვა საკავშირო ბიუჯეტის სახსრებით ხორციელდება;

— რევიზორებს პრემიები მიეცემათ მინისტრებისა და უწყებათა ხელმძღვანელების ბრძანებებით წლის პირველი ნახევრისა და მთლიანად წლის მუშაობის შედეგების მიხედვით მაღალი მაჩვენებლებისათვის.

3. დაეკისროთ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტს რევიზორთა აპარატის პრემირების ფონდის განაწილება სამინისტროებსა და უწყებებს შორის რევიზორთა აპარატის საშტატო რიცხოვნობისა და ხელფასის ფონდების პროპორციულად და კონტროლი გამოყოფილი სახსრების სწორად გამოყენებისა და მიზნობრივი დანიშნულებით ხარჯვისადმი.

უფლება მიეცეთ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტს შეუმცირონ სამინისტროებსა და უწყებებს რევიზორთა აპარატის პრემირების კუთვნილი ფონდი საკონტროლო-სარევიზიო მუშაობაში დაშვებული ნაკლოვანებებისა და ხარვეზებისათვის (რევიზიების ჩატარების ვადის შეუსრულებლობა, რევიზიების შედეგების მიხედვით გადაწყვეტილებათა არადროული მიღება, გამოვლენილ გაფლანგვა-დატაცებათა შესახებ რევიზიების მასალების არასრული ან არადროული გადაცემა სავამოძიებლო ორგანოებისათვის, რევიზიების დაბალი ხარისხი, საკონტროლო-სარევიზიო მუშაობის ამსახველი ანგარიშების წარდგენის ვადების დარღვევა), მაგრამ არა უმეტეს 50 პროცენტისა, და დაევალოთ მათ სამინისტროებისა და უწყებებისათვის გაგზავნილ შეტყობინებებში პრემირებისა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის გამოყოფილი თანხების ოდენობის შესახებ აღნიშნონ მიზეზები, რომ-ლებიც დაედო საფუძვლად მათ შემცირებას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1980 წ. 5 ავგისტო, № 620

65 საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს სისტემის იმ მუშაკთა პროფესიებისა და თანამდებობების ნუსხის დამტკიცების შესახებ, რომელთაც შეიძლება დაუწესდეთ დანამატი განაკვეთის ან სარგოს 30 პროცენტამდე ოდენობით

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს წინადადება, რომელიც შეთანხმებულია საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსთან, და დამტკიცდეს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს სისტემის იმ მუშაკთა პროფესიებისა და თანამდებობების ნუსხა, რომელთაც შეიძლება დაუწესდეთ დანამატები განაკვეთის ან სარგოს 30 პროცენტამდე ოდენობით პროფესიების (თანამდებობების) შეთავსებისათვის, მომსახურების ზონის გაფართოების ან შესასრულებელ სამუშაოთა მოცულობის გადიდებისათვის, დანართის თანახმად.

2. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ გასცეს აღნიშნული დანამატები ზემდგომი ორგანოების მიერ დამტკიცებულ შრომითი დანახარჯების სადარგთაშორისო, დარგობრივ და სხვა ნორმატივებთან შედარებით მუშაკთა რიცხოვნობის განთავისუფლებით მიღებული ხელფასის ფონდის ეკონომიის ხარჯზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განაკვეთებისა და სარგოების დანამატები შეიძლება შემცირდეს ან მთლიანად გაუქმდეს დადგენილი წესით ნორმების გადასინჯვისას, აგრეთვე მუშაობის ხარისხის გაუარესებისას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1980 წ. 8 აგვისტო, № 628

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1980 წლის 8 აგვისტოს № 628 დადგენილების დანართი

ნუსხა

საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებისა და ორგანიზაციების იმ მუშაკთა პროფესიებისა და თანამდებობებისა, რომელთაც შეიძლება დაუწესდეთ დანამატები განაკვეთის ან სარგოს 30 პროცენტამდე ოდენობით პროფესიების (თანამდებობების) შეთავსებისათვის, მომსახურების ზონის გაფართოების ან შესასრულებელ სამუშაოთა მოცულობის გადიდებისათვის

მომარაგების აგენტი — დამხმარე (ტრანსპორტის) მუშა, მტვირთავი.

მეაბანოე — მასაჟისტი, დეზინფექტორი.

ბუღალტერი — კალკულატორი, ეკონომისტი.

ავტომანქანის მძღოლი (შოფერი) — ექსპედიტორი, მომარაგების აგენტი, მტვირთავი, შეკვეთების მიმღები.

მეგარდერობე — სამსახურებრივი სადგომების დამლაგებელი.

დამაუთოებელი — მეცეცხლური, თეთრეულის მრეცხავი, სამსახურებრივი სადგომების დამლაგებელი, ტანსაცმლისა და თეთრეულის შემკეთებელი მკერავი.

მტვირთავი — დამხმარე (ტრანსპორტის) მუშა.

მეეზოვე — ხურო, დურგალი, მებაღე, მზიდავი, მეჯინიბე, ვახტიორი (დარაჯი), სამსახურებრივი სადგომების დამლაგებელი.

საქმისმწარმოებელი — არქივარიუსი, კადრების ინსპექტორი.

საწყობის გამგე — მტვირთავი, მეკუჭნავე.

სამნეო ნაწილის გამგე — მეკუჭნავე.

კადრების ინსპექტორი — მდივან-მემანქანე, მემანქანე, საქმისმწარმოებელი, მოლარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეკუჭნავე — დამხმარე (ტრანსპორტის) მუშა, ტერიტორიის (ქუჩების) დამგველი, საწარმოო და სამსახურებრივი სადგომების დამლაგებელი, მეეზოვე.

მოლარე — მოანგარიშე, შეკვეთების მიმღები, კალკულატორი, დამლაგებელი.

კონტროლიორი — თეთრეულის დამკომპლექტებელი.

მეცეცხლური — დამხმარე (ტრანსპორტის) მუშა.

შიკრიკი — სამსახურებრივი სადგომების დამლაგებელი.

ლაბორანტი — ფოტოგრაფი, სამსახურებრივი სადგომების დამლაგებელი.

თეთრეულისა და ტანსაცმლის რეცხვის მემანქანე — სამსახურებრივი სადგომების დამლაგებელი, ტანსაცმლისა და თეთრეულის შემკეთებელი მკერავი, მეცეცხლური.

ფეხსაცმლის შემკეთებელი მეფეხსაცმლე — დამხმარე (ტრანსპორტის) მუშა, მტვირთავი.

სადისპეტჩერო სამსახურის ოპერატორი — მდივან-მემანქანე, მემანქანე.

დამხმარე (ტრანსპორტის) მუშა — მტვირთავი, მეცეცხლური.

გამქირავებელი პუნქტის მიმღები — სამსახურებრივი სადგომების დამლაგებელი, მოლარე, მიმღები პუნქტის გამგე.

შეკვეთების მიმღები — გამყიდველი, მეკიოსკე, მოლარე, საწარმოო სადგომების დამლაგებელი.

თეთრეულისა და ტანსაცმლის მიმღები — მიმღები პუნქტის გამგე, მოლარე.

შენობების, ნაგებობებისა და მოწყობილობის მომსახურების და მიმდინარე რემონტის მუშა — ტერიტორიის (ქუჩების) დამგველი, დარაჯი, სამსახურებრივი სადგომების დამლაგებელი, მეეზოვე, დამხმარე (ტრანსპორტის) მუშა.

თეთრეულის დამხარისხებელი — საწარმოო სადგომების დამლაგებელი.

მდივან-მემანქანე — კადრების ინსპექტორი, საქმისმწარმოებელი.

ზეინკალი-შემკეთებელი — ელექტრიკოსი, სანტექნიკოსი.

მოანგარიშე-მოლარე, კალკულატორი.

მხატვარი-ფოტოგრაფი, ლაბორანტი.

ტანსაცმლისა და თეთრეულის შემკეთებელი მკერავი — დამაუთოებელი, თეთრეულის მრეცხავი, სამსახურებრივი სადგომების დამლაგებელი.

ეკონომისტი-ბუღალტერი, კალკულატორი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე ა. ხუნწარია

66 „სრულიად საკავშირო და რესპუბლიკურ სამრეწველო გაერთიანებათა ზოგადი დებულებით გათვალისწინებული პირობებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მუშაობის ორგანიზაციის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 15 ნოემბრის № 749 დადგენილების ნაწილობრივი შეცვლის თაობაზე

„სრულიად საკავშირო და რესპუბლიკურ სამრეწველო გაერთიანებათა ზოგადი დებულებით გათვალისწინებული პირობებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მუშაობის ორგანიზაციის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 15 ნოემბრის № 749 დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დადგენილების სათაურსა და ტექსტში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი მოხსენიებულ იქნეს, როგორც საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი.

2. ჩამოყალიბდეს აღნიშნული დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ცენტრალური აპარატის მუშაკთა პრემირების დებულება, კომიტეტის აპარატის ხელმძღვანელ მუშაკთა პრემირების დამატებითი პირობები, ცენტრალური აპარატის მუშაკთა პრემირებისათვის წახალისების ცენტრალიზებული ფონდებიდან ანარიცხების ნორმატივები, მათთვის მატერიალური დახმარების გაწევა, საბინაო პირობებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესება, აგრეთვე კომიტეტის ცენტრალური აპარატის იმ თანამდებობის მუშაკთა ნუსხა, რომლებსაც პრემიები არ მიეცემათ ხელფასის ფონდის დაშვებული გადახარჯვისათვის, დანართების თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1980 წ. 18 აგვისტო, № 641

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1980 წლის 18 აგვისტოს № 641
დადგენილებით

დებულება

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის (გამსახკომის) ცენტრალური აპარატის მუშაკთა პრემირების წესის შესახებ

დებულება საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ცენტრალური აპარატის მუშაკთა პრემირების წესის შესახებ შემუშავებულია სრულიად საკავშირო და რესპუბლიკურ სამრეწველო გაერთიანებათა მმართველობის მუშაკთა პრემირების წესის ტიპობრივი დებულების შესაბამისად, რომელიც სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა და საკავშირო პროფსაბჭომ დაამტკიცეს 1979 წლის 6 ივნისს № 123-ვლ.

დებულება პრემირების შესახებ შემოღებულია იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ცენტრალური აპარატის მუშაკთა მატერიალური დაინტერესება წარმოების შემდგომი განვითარებითა და სრულყოფით, შესაბამისი სახეობის პროდუქციაზე სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებათა რაც შეიძლება სრული დაკმაყოფილებით, შრომის ნაყოფიერების ზრდით, ტექნიკური პროგრესის უზრუნველყოფით, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებით და მისი თვითღირებულების შემცირებით, მატერიალური, შრომითი და ფინანსური დანახარჯების დაზოგვით.

I. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს სსრ გამსახკომის მუშაკებისათვის პრემიის დარიცხვის საფუძველია საბუღალტრო და სტატისტიკური ანგარიშგების მონაცემები, აგრეთვე ოპერატიული აღრიცხვის მონაცემები.

2. მუშაკებს პრემიები დაერიცხებათ ფაქტობრივად ნამუშევარი დროისათვის თანამდებობრივ ხელფასზე.

3. მუშაკებს, რომლებმაც არასრული კვარტალი იმუშავეს სხვა სამუშაოზე გადაყვანის, სასწავლებელში შესვლის, პენსიაზე გადასვლის, შტატების შემცირებით გამოწვეული დათხოვნის და სხვა საპატიო მიზეზების გამო, პრემია დაერიცხებათ ფაქტობრივად ნამუშევარი დროისათვის.

4. სამეურნეო საქმიანობის ძირითადი შედეგებისათვის პრემიებს ამტკიცებენ:

— საქართველოს სსრ გამსახკომის თავმჯდომარისა და მისი მოადგილეებისათვის, — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კომიტეტის დანარჩენი მუშაკებისათვის — კომიტეტის თავმჯდომარე

განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი დავალებების შესრულებისათვის და შჩეკინოელთა მეთოდის წარმატებით დანერგვისათვის საქართველოს სსრ გამსახკომის მუშაკებს პრემიებს უმტკიცებს საქართველოს სსრ გამსახკომის თავმჯდომარე.

5. საქართველოს სსრ გამსახკომის თავმჯდომარეს პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით შეუძლია პრემიების საერთო ოდენობის ფარგლებში მოუმატოს ან მოუკლოს, მუშაობის ხარისხისა და პირადი წვლილის შესაბამისად, მუშაკს დარიცხული პრემია, მაგრამ არა უმეტეს 25 პროცენტისა. მუშაობაში ხარვეზებისათვის საქართველოს სსრ გამსახკომის აპარატის ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს შეიძლება პრემია სრულიად არ მიეცეთ ან მიეცეთ ნაწილობრივ.

საქართველოს სსრ გამსახკომის ხელმძღვანელი მუშაკებისათვის პრემიების ოდენობის აღნიშნულ მომატებას (მოკლებას) ან პრემიების ჩამორთმევას აწარმოებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

6. პრემიები, რომლებიც ამ დებულების მე-4 და მე-10 პუნქტების შესაბამისად გაიცემა, გათვალისწინებულ იქნება მომუშავის საშუალო ხელფასის გამოანგარიშებისას.

7. ამ დებულებით გათვალისწინებული პრემიების გარდა, საქართველოს სსრ გამსახკომის მუშაკებს პრემიები შეიძლება მიეცეთ გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ხელშეწყობისათვის და საზღვარგარეთ გასაყიდად საბჭოთა გამოგონებებისა და მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების დაპატენტებისა და ლიცენზიათა მომზადების მუშაობაში აქტიური მონაწილეობისათვის. სხვა სპეციალურ სისტემათა მიხედვით ამ მუშაკების პრემირება, აგრეთვე წლის მიხედვით მუშაობის საერთო შედეგებისათვის გასამრჯელოს გაცემა არ წარმოებს.

8. ეს დებულება მოქმედებას იწყებს 1980 წლიდან.

II. პრემირების მაჩვენებლები და პირობები

9. საქართველოს სსრ გამსახკომის ცენტრალური აპარატის ხელმძღვანელი, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები პრემიებს მიიღებენ კვარტალური გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

— გამომცემლობათა ხაზით — სახელწოდებათა ოდენობით ლიტერატურის გამოცემის გეგმის შესრულებისათვის, რეალიზებული პროდუქციის მოცულობისათვის;

— მრეწველობის ხაზით — რეალიზებული პროდუქციის, შრომის ნაყოფიერების ზრდის და საერთო რენტაბელობის დონის გეგმის შესრულებისათვის;

— ვაჭრობის ხაზით — საცალო საქონელბრუნვის გეგმის შესრულებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შეუძლია საქართველოს სსრ გამსახკომის მუშაკთა პრემირების ნება დართოს იმ შემთხვევებში, როცა დადგენილი ნომენკლატურით ცალკეულ სახეობათა პროდუქციის წარმოების საანგარიშგებო კვარტალის გეგმა არ შესრულებულა, თუ ეს პროდუქცია გათვალისწინებული იყო საქართველოს სსრ გამსახკომის შიგნით მოხმარებისათვის, ხოლო სხვა სამინისტროების საწარმოებისათვის მისი მიწოდების ხელშეკრულებანი შესრულებულია.

10. თუ ვერ შესრულდა ამ დებულების მე-9 პუნქტში მითითებული რომელიმე ძირითადი მაჩვენებელი, პრემია არ გაიცემა. გამონაკლისის სახით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შეუძლია ნება დართოს საქართველოს სსრ გამსახკომის თავმჯდომარეს პრემია მისცეს ცალკეული სტრუქტურული ქვეგანყოფების მუშაკებს მათთვის დადგენილი დავალებების შესრულებისათვის. ამასთან პრემია არ უნდა აღემატებოდეს იმ ოდენობის 50 პროცენტს, რომელიც დადგენილია პრემირების მაჩვენებელთა შესრულებისათვის.

გადაჭარბებისათვის პრემირება შეიძლება განხორციელდეს არა ყველა ძირითადი მაჩვენებლის მიხედვით, არამედ მხოლოდ გამსახკომისათვის ყველაზე დიდმნიშვნელოვანი მაჩვენებლის მიხედვით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შეუძლია გადაწყვიტოს საქართველოს სსრ გამსახკომის მუშაკთა პრემირების საკითხი საანგარიშგებო კვარტალში პროდუქციის ცალკეულ სახეობათა ნომენკლატურით დავალებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, თუ ამ სახეობათა ნომენკლატურის პროდუქცია დამზადებული და რეალიზებულია წინა პერიოდში ან მოხსნილია წარმოებიდან მომხმარებლის მოთხოვნით.

11. ამ დებულების მე-9 პუნქტში გათვალისწინებულ პრემირების მაჩვენებლებთან ერთად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, წარმოების დარგების ამოცანათა და თავისებურებათა, აგრეთვე სოციალისტური შეჯიბრების განვითარებაში ძირითადი მიმართულებების გათვალისწინებით, საქართველოს გამსახკომის ხელმძღვანელ მუშაკებს, პროფკავშირების შესაბამის კომიტეტებთან შეთანხმებით, უწესებს პრემირების დამატებით პირობებს.

საქართველოს სსრ გამსახკომის დანარჩენ მუშაკებს პრემირების დამატებითს პირობებს უწესებს საქართველოს სსრ გამსახკომის თავმჯდომარე პროფკავშირის აღგილობრივ კომიტეტთან შეთახმებით.

დამატებითი პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, საქართველოს სსრ გამსახკომის მუშაკებს პრემიები უმცირდებათ მათი შესრულების დონის შესაბამისად, მაგრამ არა უმეტეს 50 პროცენტისა.

12. საქართველოს სსრ გამსახკომის აპარატის მუშაკთა პრემირების დროს მხედველობაში მიიღება პროდუქციის მიწოდების ვალდებულებათა შესრულება რაოდენობის, ვადებისა და ნომენკლატურის მიხედვით, დადებული ხელშეკრულების შესაბამისად. პროდუქციის მიწოდების აღნიშნულ ვალდებულებათა შეუსრულებლობისას ცენტრალური აპარატის მუშაკებს პრემიები შეუმცირდებათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ განსაზღვრული ოდენობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III. პრემირების წყაროები და პრემიათა ოდენობანი

13. საქართველოს სსრ გამსახკომის ცენტრალური აპარატის მუშაკებს პრემიები მიეცემათ მატერიალური წახალისების ცენტრალიზებული ფონდიდან, რომელიც მთლიანად კომიტეტში მატერიალური წახალისების საერთო ფონდის ფარგლებში იქმნება. ამასთან ამ დებულების შესაბამისად მუშაკთა პრემირების სპეციალური ფონდი არ იქმნება.

პრემირების სახსრები გამოიყოფა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული ნორმატივების მიხედვით (მთლიანად კომიტეტში მატერიალური წახალისების საერთო ფონდის პროცენტობით). მისი დადგენის დროს უზრუნველყოფილი უნდა იყოს საქართველოს სსრ გამსახკომის დაინტერესება დაძაბული საგეგმო მაჩვენებლების შემუშავებითა და დამტკიცებით.

14. ამ დებულებით გათვალისწინებული პრემიების ოდენობანი საქართველოს სსრ გამსახკომის მუშაკებს პრემირების მაჩვენებელთა შესრულებისათვის ყოველწლიურად დაუწესდებათ იმ სახსრების ფარგლებში, რომლებიც მოცემულ წელს აღნიშნულ მუშაკთა პრემირებისათვის გამოიყოფა დამტკიცებული ნორმატივების შესაბამისად. პრემირებას ვერ მოხმარდება სახსრები, რომლებიც დამტკიცებული ნორმატივის შესაბამისად შეიძლებოდა გამოეყენებინათ ამ მიზნებისათვის წინა წელს, მაგრამ არ დახარჯულა დადგენილი მაჩვენებლებისა და პრემირების პირობების შეუსრულებლობის გამო.

საქართველოს სსრ გამსახკომის ხელმძღვანელ მუშაკებს პრემიათა ოდენობას უწესებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო შესაბამის პროფკავშირულ ორგანოსთან შეთანხმებით. ამ მუშაკთა პრემიების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მთლიანად გამსახკომში პრემიათა საშუალო ოდენობას (მათი თანამდებობრივი სარგოებისადმი პროცენტობით).

საქართველოს სსრ გამსახკომის დანარჩენი მუშაკებისათვის პრემიათა ოდენობას კომიტეტის თავმჯდომარე აწესებს პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით.

პრემირების მაჩვენებელთა გადაჭარბებისათვის პრემიათა ოდენობა განისაზღვრება იმ სახსრების ფარგლებში, რომლებიც დამატებით შემოდის (დამტკიცებული ნორმატივის მიხედვით) გეგმის გადაჭარბების გამო მუშაკთა მატერიალური წახალისებისათვის.

15. პრემიები, რომლებიც საქართველოს სსრ გამსახკომის ხელმძღვანელ მუშაკებს ერიცხებათ კვარტალური მუშაობის შედეგების მიხედვით, 0,5 პროცენტით მცირდება კომიტეტის თითოეული საქვეუწყებო ორგანიზაციისათვის, რომელიც ვერ შეასრულებს მისთვის დადგენილ ძირითად მაჩვენებლებს და პრემირების პირობებს.

ასეთივე წესით კომიტეტის თავმჯდომარეს შეუძლია პრემიები შეუმციროს ცენტრალური აპარატის შესაბამის მუშაკებს, რომლებიც პასუხისმგებელი არიან იმისათვის, რომ საწარმოებმა შეასრულონ მათთვის დადგენილი საგეგმო მაჩვენებლები.

გეგმის შესრულების ფაქტობრივ დონესთან შედარებით შემცირების მიმართულებით გეგმის კორექტირების დროს საქართველოს სსრ გამსახკომის ხელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძღვანელ მუშაკებს სამეურნეო საქმიანობის ძირითადი შედეგებისათვის პრემიები ან სრულიად არ მიეცემათ ან მიეცემათ ნაწილობრივ, არა უმეტეს 50 პროცენტისა.

16. თუ საშუალო ხელფასის ზრდა წინ უსწრებს შრომის ნაყოფიერების ზრდას, რომელიც მთლიანად საქართველოს სსრ გამსახკომში წლის დამდეგიდან მზარდი შედეგით იანგარიშება, საქართველოს სსრ გამსახკომის ცენტრალური აპარატის მუშაკებისათვის დარიცხული პრემიების ოდენობა 10 პროცენტით მცირდება.

17. თუ საქართველოს სსრ გამსახკომში ხელფასის ფონდი გადაიხარჯა, საქართველოს სსრ გამსახკომის ხელმძღვანელობას, აგრეთვე იმათ, ვინც პასუხს აგებს ხელფასის ფონდის ხარჯვისათვის, დარიცხული პრემია არ მიეცემათ. ამასთან საქართველოს სსრ გამსახკომის ხელფასის ფონდის გადახარჯვა იანგარიშება, როგორც ამ ფონდის შედარებითი გადახარჯვის (ეკონომიის) თანხა საქვეუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებში.

თუ საქართველოს სსრ გამსახკომს დროულად (6 თვემდე) აუნაზღაურდა ხელფასის ფონდის დაშვებული გადახარჯვა, აღნიშნულ მუშაკებს მიეცემათ იმ პრემიების 50 პროცენტი, რომლებიც მათ დაერიცხათ, მაგრამ არ აუნაზღაურდათ ხელფასის ფონდის გადახარჯვის გამო.

იმ შემთხვევაში, როცა საქართველოს სსრ გამსახკომში საანგარიშო პერიოდში დაშვებულია ხელფასის ფონდის გადახარჯვა, მაგრამ კალენდარული წლის დადგომის შემდეგ პერიოდში მიღებულია საკმარისი ეკონომია ხელფასის ფონდის დაშვებული გადახარჯვის დასაფარად, მუშაკებს დარიცხული პრემიები მთლიანად მიეცემათ.

18. საქართველოს სსრ გამსახკომის მუშაკებს პრემიები მიეცემათ ყოველი კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით ამ პერიოდში გასაცემად დარიცხული პრემიის 75 პროცენტის ოდენობით. პრემიის დანარჩენი 25 პროცენტი სამეურნეო წლის შედეგების მიხედვით გაიცემა იმ პირობით, თუ მთლიანად წლის მანძილზე შესრულდა პრემირების ძირითადი მაჩვენებლები, რომლებიც დადგენილია ამ დებულების მე-9 პუნქტის შესაბამისად. ცალკეული ძირითადი მაჩვენებლების შეუსრულებლობის შემთხვევაში, წლის შედეგების მიხედვით გაცემული პრემიები 50 პროცენტამდე მცირდება.

19. პრემიათა საერთო თანხა, რომლებიც წლის მანძილზე მიეცემა ერთ მუშაკს, არ უნდა აღემატებოდეს 4 თვის თანამდებობრივ სარგოს წელიწადში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘᲐ
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1980 წლის 18 აგვისტოს № 641
დადგენილებით

ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘ

პრემირებისა, რომელთა შეუსრულებლობის დროს პრემიათა ოდენობა უმცირდებათ საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის (საქართველოს სსრ გამსახკომის) აპარატის ხელმძღვანელ მუშაკებს

1. ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებთა იდეურ-პოლიტიკური და მხატვრული დონის ამაღლება.

2. პოლიგრაფიული მრეწველობის მიერ გამოშვებული პროდუქციის მაღალი ხარისხი.

3. მოსახლეობისაგან წიგნების შესყიდვის გეგმის შესრულება.

4. კაპიტალური რემონტის გეგმის შესრულება და ობიექტების ხარისხიანად გადაცემა საექსპლუატაციოდ დადგენილ ვადებში.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ზემოაღნიშნულთაგან ერთ-ერთი პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში პრემიათა თანხა უმცირდება საქართველოს სსრ გამსახკომის ხელმძღვანელობას (თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეებს).

ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘᲐ
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1980 წლის 18 აგვისტოს № 641
დადგენილებით

ᲜᲝᲠᲛᲐᲢᲘᲕᲔᲑᲘ ᲐᲜᲐᲠᲘᲪᲮᲔᲑᲘᲡᲐ

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის (საქართველოს სსრ გამსახკომის) ცენტრალური აპარატის მატერიალური წახალისების ცენტრალიზებული ფონდიდან

(ათასი მანეთი)

საქართველოს სსრ გამსახკომის ცენტრალური აპარატის მუშაკთა მატერიალური წახალისების ცენტრალიზებული ფონდიდან ანარიცხების წლიური თანხა	18,9
იმ სახსრების ოდენობა, რომლებიც მატერიალური წახალისების ცენტრალიზებული ფონდიდან გადაირიცხება საქართველოს სსრ გამსახკომის ცენტრალური აპარატის მუშაკებისათვის მატერიალური დახმარების გასაწევად	4,7

189,0×2,5:100

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1980 წლის 18 აგვისტოს № 641
დადგენილებით

ნორმატივები

ცენტრალიზებული ფონდის ანარიცხებისა საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის (საქართველოს სსრ გამსახკომის) ცენტრალური აპარატის მუშაკთა პრემირებისათვის

(ათასი მანეთი)

საქართველოს სსრ გამსახკომის ცენტრალური აპარატის მუშაკთა თანამდებობრივი სარგოების წლიური თანხა	188,8
საქართველოს სსრ გამსახკომის მატერიალური წახალისების ფონდი	1110
იმ სახსრების ოდენობა, რომლებიც მხედველობაში მიიღება საქართველოს სსრ გამსახკომის ცენტრალური აპარატის მუშაკთა მატერიალური წახალისების ცენტრალიზებული ფონდიდან ანარიცხების ნორმატივის განსაზღვრისათვის (სარგოების თანხის 10 პროცენტი)	18,9
ნორმატივი საქართველოს სსრ გამსახკომის მატერიალური წახალისების ცენტრალური ფონდის ანარიცხებისა ცენტრალური აპარატის მუშაკთა პრემირებისათვის (პროცენტობით მთლიანად საქართველოს სსრ გამსახკომში მატერიალური წახალისების ფონდისადმი 16,4:1110×100)	1,703
სახსრების თანხა, რომლებითაც შეიცვალა საქვეუწყებო საწარმოების, გაერთიანებებისა და ორგანიზაციების მატერიალური წახალისების ფონდები პროდუქციის მიწოდების დავალებათა და ვალდებულებათა შეუსრულებლობისათვის	—
მატერიალური წახალისების ფონდის ოდენობა, რომელიც მხედველობაში მიიღება საქართველოს სსრ გამსახკომის ცენტრალური აპარატის მუშაკთა პრემირებისათვის ფაქტობრივი ანარიცხების გასაანგარიშებლად	—
ანარიცხების ოდენობა მატერიალური წახალისების ცენტრალიზებული ფონდიდან საქართველოს სსრ გამსახკომის ცენტრალური აპარატის მუშაკთა პრემირებისათვის	18,9

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1980 წლის 18 აგვისტოს № 641
დადგენილებით

სახსრების ანარიცხების ნორმატივები

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის სახელმწიფო კომიტეტის (საქართველოს სსრ გამსახკომის) ცენტრალური აპარატის მუშაკთა საბინაო პირობებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის

(ათასი მანეთი)

სახსრების წლიური თანხა, რომელიც ხმარდება საქართველოს სსრ გამსახკომის ცენტრალური აპარატის მუშაკთა პრემირებას და მატერიალურ დახმარებას	23,6
სახსრების ნორმატივი, რომლებიც გადაირიცხება საქართველოს სსრ გამსახკომის ცენტრალური აპარატის მუშაკთა საბინაო პირობებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის (ოდენობით, რომელიც იმ სახსრების მოცულობის ტოლია, რომლებიც სოციალურ-კულტურული ღონისძიებების განხორციელებას ხმარდება საქართველოს სსრ გამსახკომის მატერიალური წახალისების ფონდიდან მთლიანად, პროცენტობით).	40
სახსრების წლიური თანხა, რომლებიც გადაირიცხება საქართველოს სსრ გამსახკომის ცენტრალური აპარატის მუშაკთა საბინაო პირობებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის	9,4

23,6×40:100

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1980 წლის 18 აგვისტოს № 641
დადგენილებით

თანამდებობათა ნუსხა

საქართველოს სსრ გამსახკომის მუშაკებისა, რომლებსაც პრემიები არ მიეცემათ ხელფასის ფონდის დაშვებული გადახარჯვის გამო

თავმჯდომარე
თავმჯდომარის მოადგილე
საგეგმო-ეკონომიკური და საფინანსო სამმართველოების უფროსები.
მთავარი ბუღალტერი
შრომისა და ხელფასის განყოფილების უფროსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

67 „სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა ბიუჯეტგარეშე სახსრების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 26 ივნისის № 527 დადგენილების შესაბამისად ბიუჯეტგარეშე სახსრებთან დაკავშირებული საკითხების განხილვის წესის თაობაზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

„სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა ბიუჯეტგარეშე სახსრების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 26 ივნისის № 527 დადგენილებით დამტკიცებული სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა ბიუჯეტგარეშე სახსრების დებულების მე-5 და მე-7 პუნქტების შესაბამისად დაწესდეს, რომ:

— რესპუბლიკურ ან ადგილობრივ ბიუჯეტებზე მყოფ დაწესებულებებს სპეციალური სახსრების შექმნის ნებართვას შემოსავლის წყაროების დაწესებითა და იმ მიზნების განსაზღვრით, რისთვისაც შეიძლება დაიხარჯოს ისინი, მისცემს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო;

— რესპუბლიკურ ან ადგილობრივ ბიუჯეტებზე მყოფ დაწესებულებათა სპეციალური სახსრების ხარჯთაღრიცხვებს (კრებსით ხარჯთაღრიცხვებს) დამტკიცებენ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო, აფხაზეთის ასსრ ფინანსთა სამინისტრო, აჭარის ასსრ ფინანსთა სამინისტრო, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების (რესპუბლიკური დაქვემდებარების) სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების საფინანსო განყოფილებანი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1980 წ. 18 აგვისტო, № 642

68 მეცნიერების საკითხებზე საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

მეცნიერების შესახებ საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის კრებულის მომზადებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებანი თანდართული ნუსხის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1980 წ. 18 აგვისტო, № 643

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1980 წლის 18 აგვისტოს № 643 დადგენილებით

ნუსხა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებისა, რომლებმაც ძალა დაკარგეს მეცნიერების შესახებ საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის კრებულის მომზადებასთან დაკავშირებით

1. „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოწყობის შესახებ“ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1941 წლის 10 თებერვლის № 183 დადგენილების მე-3 პუნქტი;

(საქართველოს სსრ დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული, 1941 წ., № 21, მუხ. 132).

2. „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა განყოფილების მოწყობის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1942 წლის 7 მაისის № 743 დადგენილების მე-5 პუნქტი;

3. „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერ-მუშაკთა განაკვეთების გადიდების შესახებ“ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1943 წლის 22 მარტის № 363 დადგენილების 1, მე-2, მე-3 პუნქტები და მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი;

4. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1943 წლის 1 ნოემბრის № 1532 დადგენილების „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრთა და წევრ-კორესპონდენტთა არჩევნების ჩატარების შესახებ“ მე-3 პუნქტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები — „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წესდების მე-16 და 21-ე პუნქტების შესაბამისად“, მე-4 პუნქტიდან — „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წესდების მე-18 პუნქტის შესაბამისად“.

5. „თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებათა ასპირანტებისა და სტუდენტებისათვის სტიპენდიის გადიდების შესახებ“ საქარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1943 წლის 18 დეკემბრის № [illegible] დადგენილება;

6. „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გარდაცვლილ ნამდვილ წევრთა ოჯახების მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 14 ივნისის № 672 დადგენილების მე-4 პუნქტი;

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 2 აგვისტოს № 607 დადგენილების „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრთა და წევრ-კორესპონდენტთა არჩევნების ჩატარების შესახებ“ მე-3 პუნქტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წესდების მე-16 და 21-ე მუხლების შესაბამისად“ და მე-4 პუნქტიდან „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წესდების მე-17 მუხლის შესაბამისად“.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 5 სექტემბრის № 492 დადგენილება „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან ბუნების დაცვის რესპუბლიკური კომისიის მოწყობის შესახებ“.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 25 ნოემბრის № 740 დადგენილება „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წესდების დამტკიცების შესახებ“.

10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 20 თებერვლის № 128 დადგენილების „კიბოს ხაზით მეცნიერულ გამოკვლევათა გაძლიერების შესახებ“ 1 პუნქტი და მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 8 ივლისის № 569 დადგენილება „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სოფლის მეურნეობის ეკონომიკის და ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სტრუქტურისა და სამტატო განაწესის დამტკიცების შესახებ“.

12. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 23 მარტის № 170 დადგენილება „სახალხო მეურნეობაში კოროზიის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“.

13. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 15 ნოემბრის № 791 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტის დებულების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ“.

14. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 20 ივლისის № 440 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ“.

15. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 9 ოქტომბრის № 637 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტის სტრუქტურის ნაწილობრივ შეცვლის შესახებ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

69 ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საკითხებზე საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების შესახებ საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის კრებულის მომზადებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებანი თანდართული ნუსხის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1980 წ. 18 აგვისტო, № 644

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1980 წლის 18 აგვისტოს № 644 დადგენილებით

ნ უ ს ხ ა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებისა, რომლებმაც ძალა დაკარგეს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების შესახებ საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის კრებულის მომზადებასთან დაკავშირებით

1. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის 22 ოქტომბრის დადგენილება „ბაზრებში ღვინის ცალობით ვაჭრობის მოწესრიგების შესახებ“.

(საქ. სსრ კან. კრ., 1932 წ., № 24, მუხ. 245).

2. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის 23 ივნისის დადგენილება „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სიმინდის საკოლმეურნეო და ინდივიდუალური საგლეხო ვაჭრობის წესის შესახებ“.

(საქ. სსრ კან. კრ., 1933 წ., № 16, მუხ. 218).

3. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის 31 აგვისტოს დადგენილება „მასწავლებელთა და პოლიტგანათლების მომუშავეთათვის ლიტერატურის შესაძენად შეღავათიანი პირობების დაწესების შესახებ“.

(საქ. სსრ კან. კრ., 1933 წ., № 21, მუხ. 282).

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 4 აგვისტოს № 1160 დადგენილება ფეხსაცმლის ვაჭრობის გაუმჯობესების შესახებ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 7 იანვრის № 8 დადგენილება „საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს საკითხებზე“.

6. ქ. თბილისისა და რუსთავის მოსახლეობის მოსამარაგებლად გარეუბნის რაიონის საბჭოთა მეურნეობებისა ზოგიერთი კოლმეურნეობის მიერ ბოსტნეულის, ხილის, ყურძნისა და ბაღჩეული კულტურის ჩაბარების წესის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 31 აგვისტოს № 682 დადგენილების მე-3 პუნქტი.

7. „რესტორნებითა და კაფეებით მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესებისა და ამ საწარმოთა ქსელის გაფართოების ზომების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 6 თებერვლის № 77 დადგენილების მე-3 პუნქტის პირველი აბზაცი.

8. „საქართველოს სავაჭრო პალატის წესდების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 4 მარტის № 100 დადგენილების პირველი პუნქტის დანართით.

9. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1946 წლის 10 იანვრის № 18 დადგენილება „ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის სისტემის კომერციული საჩაიეების მოწყობის შესახებ“.

10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 30 მარტის № 4 დადგენილება „ცეკავშირის სისტემაში კომერციული საჩაიეების მოწყობის შესახებ“.

11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 8 თებერვლის № 114 დადგენილება „ნავთისა და ბენზინის კომერციული ვაჭრობის მოწყობის შესახებ“.

12. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 10 მარტის № 188 დადგენილება „მუშათა მომარაგების განყოფილების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

13. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 7 სექტემბრის № 1016 დადგენილება „სამომხმარებლო კოოპერაციის მიერ საშენი მასალებით ვაჭრობის გაუმჯობესების შესახებ“.

14. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 2 იანვრის № 3 დადგენილება „სამომხმარებლო კოოპერაციის მიერ საბჭოთა მეურნეობების, ჩაის ფაბრიკების, ღვინის ქარხნების და ამ ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობების მუშა-მოსამსახურეთა სავაჭრო მომსახურების გაუმჯობესების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

70 საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს რესპუბლიკური პრემიების მოსაპოვებლად კონკურსების ჩატარების დებულებისა და საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებული რესპუბლიკური პრემიების კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

„საქართველოს სს რესპუბლიკაში უმაღლესი სკოლის შემდგომი განვითარებისა და სპეციალისტთა მომზადების ხარისხის ამაღლების შესახებ". საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 4 მარტის № 234 დადგენილების მე-15 პუნქტის საფუძველზე:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის მიერ შემუშავებული და საქართველოს პროფსაბჭოსთან შეთანხმებული საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს რესპუბლიკური პრემიების მოსაპოვებლად კონკურსების ჩატარების დებულება და საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებული რესპუბლიკური პრემიების კომიტეტის დებულება.

2. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს მშობლიურ ენაზე უმაღლეს სასწავლებელთა მაღალმეცნიერულ-მეთოდურ დონეზე დაწერილი ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოებისათვის, რუსული ენიდან მშობლიური ენაზე სახელმძღვანელოთა საუკეთესო თარგმანისათვის, უმაღლეს სასწავლებლებში შესრულებული საუკეთესო მეცნიერულ კვლევითი ნამუშევრებისათვის ჩატარებულ კონკურსში გამარჯვებულთათვის პრემიების გაცემის მიზნით, რესპუბლიკური ბიუჯეტით დამატებით მიღებული შემოსავლის ანგარიშში მოყოლებული 1980 წლიდან, ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოუყოს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს საჭირო ასიგნებანი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 4 მარტის № 234 დადგენილების მე-15 პუნქტით გათვალისწინებული თანხების ფარგლებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე ზ. პატარიძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ზ. ახვლედიანი.

ქ. თბილისი, 1980 წ. 29 აგვისტო, № 666

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1980 წლის 29 აგვისტოს № 666
დადგენილებით

დებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს რესპუბლიკური პრემიების მოსაპოვებლად კონკურსების ჩატარების შესახებ

1. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს რესპუბლიკური პრემიები ენიჭებათ ავტორებს ან ავტორთა კოლექტივებს:

— მშობლიურ ენაზე უმაღლეს სასწავლებელთა მაღალმეცნიერულ-მეთოდურ დონეზე დაწერილი ორიგინალური სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სახელმძღვანელოებისათვის, რომლებიც მომზადდა რესპუბლიკაში და მინიჭებული აქვთ საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ან საკავშირო სამინისტროების გრიფი, რუსული ენიდან მშობლიურ ენაზე სახელმძღვანელოს საუკეთესო თარგმანისათვის;

— აქტუალური მნიშვნელობის სამეცნიერო-კვლევითი ნამუშევრებისათვის, რომლებიც დამუშავდა რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს სამამულო მეცნიერების განვითარებაში.

შენიშვნა: 1. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს რესპუბლიკური პრემიის ლაურეატს პრემია განმეორებით (ახალი ნაშრომისათვის) შეიძლება მიენიჭოს მხოლოდ 4 წლის შემდეგ.

2. ნაშრომები, რომლებსაც ადრე მინიჭებული ჰქონდათ სხვა სახელობითი პრემია, კარგავენ კონკურსში მონაწილეობის უფლებას.

2. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს რესპუბლიკური პრემიების მინიჭება ხდება ორ წელიწადში ერთხელ „საბჭოთა მეცნიერების დღის“ დღესასწაულთან დაკავშირებით (აპრილის მესამე კვირა დღეს).

დაწესებულია 14 პრემია:

— მშობლიურ ენაზე მაღალ მეცნიერულ-მეთოდურ დონეზე დაწერილი ორიგინალური სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სახელმძღვანელოებისათვის, სახელმძღვანელოების რუსული ენიდან მშობლიურ ენაზე საუკეთესო თარგმანებისათვის — 6 პრემია (1 — პირველი პრემია, 2 — მეორე პრემია, 3 — მესამე პრემია);

— აქტუალური მნიშვნელობის სამეცნიერო-კვლევითი ნამუშევრებისათვის — 8 პრემია (1 — პირველი პრემია; 2 — მეორე პრემია, 5 — მესამე პრემია).

პრემიების ფულადი ოდენობა: პირველი პრემია—1500 მანეთი, მეორე პრემია—800 მანეთი, მესამე პრემია—500 მანეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს რესპუბლიკური პრემიების მოსაპოვებლად ნაშრომებს წარადგენენ რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო საბჭოები, უმაღლესი სასწავლებლების ფაკულტეტების სამეცნიერო საბჭოები, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს რესპუბლიკური სარედაქციო-საგამომცემლო საბჭო. წარდგენა ხდება მათი შეფასებისადმი მაღალი მომთხოვნელობის გათვალისწინებით, თითოეული ნაშრომის შემოქმედებითი წვლილის ობიექტური, წინასწარი განხილვის შედეგად.

შენიშვნა: ნაშრომების ერთდროულად წარდგენა რამდენიმე სახელობით, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს რესპუბლიკურ, სსრ კავშირის სახელმწიფო, საქართველოს სსრ სახელმწიფო და ლენინურ პრემიებზე დაუშვებელია.

4. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს რესპუბლიკური პრემიების კონკურსზე დაიშვება ყოველი ლუწი წლის (მოყოლებული 1980 წლიდან) წინა ორ წელიწადში შესრულებული ნაშრომები (სამუშაოები).

5. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს რესპუბლიკურ პრემიაზე წარდგენილი ნაშრომების ავტორთა კოლექტივის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 7 კაცს. წინააღმდეგ შემთხვევაში მაძიებელი კოლექტივის შემადგენლობაში დატოვებული უნდა იქნეს წამყვანი ავტორები, რომელთაც გაცილებით მეტი შემოქმედებითი წვლილი აქვთ შეტანილი ნაშრომში.

პრემიის მინიჭების შემთხვევაში ნაშრომის ორ ავტორს პრემია თანაბრად უნაწილდება; ავტორთა კოლექტივის სამი წევრიდან პრემიის ნახევარი ეძლევა ხელმძღვანელს, მეორე ნაწილი თანაბრად უნაწილდებათ დანარჩენ ორ წევრს; როდესაც ნაშრომს ოთხი და მეტი ავტორი ჰყავს, პრემიის ერთი მესამედი ეძლევა ხელმძღვანელს, პრემიის ორი მესამედი თანაბრად უნაწილდებათ დანარჩენ წევრებს. თუ ავტორთა კოლექტივი არ გამოყოფს ხელმძღვანელს, პრემია თანაბრად ნაწილდება კოლექტივის წევრებს შორის.

6. წარდგენილ ნაშრომებს ღებულობს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებული რესპუბლიკური პრემიების კომიტეტი. საკონკურსო ნაშრომები და სხვა სავალდებულო დოკუმენტაცია წარდგენილ უნდა იქნეს ორ ეგზემპლარად ყოველი ლუწი წლის დეკემბერში.

7. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებული რესპუბლიკური პრემიების კომიტეტი საკონკურსო ნაშრომებს წინასწარი განხილვისა და რეკომენდაციების მიღების მიზნით უგზავნის ერთი მოწვევის ვადის უფლებით შექმნილ და კომიტეტის სხდომაზე დამტკიცებულ ცნობილი მეცნიერ-სპეციალისტებით დაკომპლექტებულ დარგობრივ საექსპერტო კომისიებს, რომლებიც ორი თვის ვადაში—1 მარტამდე, თითო პრემიისათვის შეარჩევენ თითო ნაშრომს ცალკე მეცნიერების დარგში და ცალკე სახელმძღვანელოების ხაზით. დარგობრივი საექსპერტო კომისიების მასალების

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესწავლის შედეგად საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებულ რესპუბლიკური პრემიების კომიტეტს პრემიების მინიჭების წლის (ყოველი კენტი წლის) 15 მარტამდე, ღია კენჭისყრის საფუძველზე, გამოაქვს გადაწყვეტილება თითოეული ნაშრომის კონკურსზე დაშვების შესახებ.

8. სამინისტროსთან არსებული რესპუბლიკური პრემიების კომიტეტის მიერ საკონკურსოდ დაშვებული ნაშრომები პრემიების მინიჭების წლის 15 მარტიდან ეგზავნება სამინისტროს რესპუბლიკური პრემიების კომიტეტის მიერ ერთი მოწვევის ვადის უფლებით შექმნილ და კომიტეტის სხდომაზე დამტკიცებულ საპრემიო ჟიურის, რომელიც თავის მხრივ 1 აპრილამდე, ფარული კენჭისყრით (დამსწრე წევრთა ხმის არანაკლებ 3/4-სა), შეარჩევს საუკეთესო ნაშრომებს პირველი, მეორე და მესამე პრემიებისათვის და წარუდგენს სამინისტროსთან არსებულ რესპუბლიკური პრემიების კომიტეტს.

9. გადაწყვეტილება რესპუბლიკური პრემიების მინიჭების შესახებ ფარული კენჭისყრით, საპრემიო ჟიურის მასალების საფუძველზე გამოაქვს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებულ რესპუბლიკური პრემიების კომიტეტს. საპრემიოდ წარდგენილ ნაშრომს უნდა ერთოდეს ორი რეცენზია, საექსპერტო კომისიის დასკვნა და საპრემიო ჟიურის დადგენილება. რესპუბლიკური პრემიების კომიტეტის გადაწყვეტილებას ამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს კოლეგია.

10. სამინისტროს რესპუბლიკური პრემიების კომიტეტი, გამონაკლის შემთხვევაში, უფლებამოსილია პირველი, მეორე და მესამე პრემიები მიანიჭოს თანაბარი ღირებულების ორ ნაშრომს. ამ შემთხვევაში პრემია იყოფა ორ ტოლ ნაწილად.

11. ავტორს უფლება აქვს მოხსნას კონკურსიდან თავისი ნაშრომი განხილვის ნებისმიერ ეტაპზე.

12. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებული რესპუბლიკური პრემიების კომიტეტის სხდომები უფლებამოსილია წევრთა არანაკლებ 2/3-ის დასწრების შემთხვევაში.
რესპუბლიკური პრემიების კომიტეტის გადაწყვეტილება ძალაშია თუ დამსწრე წევრთაგან ხმას აძლევს 3/4 მაინც.

შენიშვნა: თუ საკონკურსო ნაშრომებიდან ვერც ერთმა ვერ მიიღო ხმების საკმარისი რაოდენობა, კენჭისყრის ჩატარება დასაშვებია განმეორებით (არა უმეტეს ორჯერ). ანალოგიური მდგომარეობის შემთხვევაში ნაშრომები იხსნება კონკურსიდან და დაწესებული პრემია არავის არ მიენიჭება.

13. პირებს, რომლებიც კონკურსში გაიმარჯვებენ, ენიჭებათ „საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს რესპუბლიკური პრემიის ლაურეატის წოდება და გადაეცემათ შესაბამისი ფულადი პრემიები და დიპლომები.

ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘᲐ
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1980 წლის 29 აგვისტოს № 666
დადგენილებით

ᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებული რესპუბლიკური პრემიების კომიტეტის შესახებ

1. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებული რესპუბლიკური პრემიების კომიტეტი იქმნება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით და მუშაობს საზოგადოებრივ საწყისებზე.

2. რესპუბლიკური პრემიების კომიტეტს, „საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს რესპუბლიკური პრემიების მოსაპოვებლად კონკურსების ჩატარების დებულების“ პირველი პუნქტის შესაბამისად, ევალება საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს რესპუბლიკური პრემიების მინიჭება მეცნიერების დარგში, მშობლიურ ენაზე სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სახელმძღვანელოებისათვის (მათ შორის რუსული ენიდან მშობლიურ ენაზე საუკეთესო თარგმანებისათვის). რესპუბლიკური პრემიების კომიტეტის გადაწყვეტილებას ამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს კოლეგია.

3. რესპუბლიკური პრემიების კომიტეტის შემადგენლობას ერთობლივად ამტკიცებენ საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი და საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

4. კომიტეტის შემადგენლობაში შედიან საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკები, საქართველოს პროფსაბჭოს, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის, რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებათა წარმომადგენლები, უმაღლესი სასწავლებლების ცნობილი მეცნიერები და პედაგოგები, საწარმო-დაწესებულებათა თვალსაჩინო სპეციალისტები, დარგობრივი საექსპერტო კომისიებისა და საპრემიო ჟიურის თავმჯდომარეები.

5. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებული რესპუბლიკური პრემიების კომიტეტის სხდომები უფლებამოსილია წევრთა არანაკლებ 2/3-ის დასწრების შემთხვევაში. პრემიის მოსაპოვებლად წარდგენილი ნამუშევრების კონკურსზე დაშვების გადაწყვეტილება კომიტეტს გამოაქვს ღია კენჭისყრის საფუძველზე, ხოლო პრემიების მინიჭების გადაწყვეტილება — ფარული კენჭისყრით (დამსწრე წევრთა ხმის არანაკლებ 3/4-ისა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: თუ საკონკურსო ნაშრომთაგან ვერც ერთმა ვერ მიიღო ხმების საკმარისი რაოდენობა, დასაშვებია განმეორებით (არა უმეტეს ორჯერ) კენჭისყრის ჩატარება. ანალოგიური მდგომარეობის შემთხვევაში მიენიჭება.

6. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებული რესპუბლიკური პრემიების კომიტეტის წევრები ეცნობიან კომიტეტში წარდგენილ ნამუშევრებს და საჭიროების შემთხვევაში ადგილებზე მისვლით ახდენენ მათ სრულფასოვან განხილვასა და შეფასებას.

7. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებული რესპუბლიკური პრემიების კომიტეტი უფლებამოსილია:

ა) ნამუშევრების წინასწარი განხილვებისა და რეკომენდაციების მიღების მიზნით (საზოგადოებრივ საწყისებზე) შექმნას დარგობრივი საექსპერტო კომისიები მეცნიერების დარგში, მშობლიურ ენაზე სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების (მათ შორის რუსული ენიდან მშობლიურ ენაზე საუკეთესოდ თარგმნილების ხაზით;

ბ) შექმნას (საზოგადოებრივ საწყისებზე) საპრემიო ჟიური საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს რესპუბლიკური პრემიების მისანიჭებლად საუკეთესო ნაშრომების შერჩევისა და პრემიების კომიტეტში წარსადგენად;

გ) დაამტკიცოს დარგობრივი საექსპერტო კომისიებისა და საპრემიო ჟიურის შემადგენლობები;

დ) დაავალოს საწარმოებს, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს, უმაღლეს სასწავლებლებსა და სხვა ორგანიზაციებს, აგრეთვე ცალკეულ მეცნიერებსა და სპეციალისტებს ნამუშევრების დამატებითი განხილვა-რეცენზირება (საზოგადოებრივ საწყისებზე);

ე) დადგენილი წესებისა და ნორმების მიხედვით მიავლინოს ადგილებზე დარგობრივი საექსპერტო კომისიები სამეცნიერო-კვლევითი ნამუშევრების გასაცნობად.

8. კომიტეტთან საზოგადოებრივ საწყისებზე მოქმედებს სამდივნო, რომელსაც ევალება საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს რესპუბლიკური პრემიების მოსაპოვებლად წარდგენილი ყველა საკონკურსო ნამუშევრის წინასწარი შესწავლა-დამუშავება, საექსპერტო კომისიების, საპრემიო ჟიურისა და რესპუბლიკური პრემიების კომიტეტისათვის განსახილველი მასალების მომზადება და საქმისწარმოება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

71 „საქართველოს სს რესპუბლიკაში ელექტროენერგეტიკული დარგის ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა და მისი განვითარების პერსპექტივების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 18 ივლისის № 578 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს „საქართველოს სს რესპუბლიკაში ელექტროენერგეტიკული დარგის ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა და მისი განვითარების პერსპექტივების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 18 ივლისის № 578 დადგენილების მე-15 პუნქტი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1980 წ. 29 აგვისტო, № 668

ინდექსი—76167

ეროვნული ბიბლიოთეკა

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 4, 1980 წელი

გამომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 16/II-81 წ. ქაღალდის ზომა 70×1/16.
საბეჭდი თაბახი 3,5, სააღრიცხვო თაბახი 3,5.

შეკვეთა № 1094 უე 04311 ტირაჟი 1730

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა

6.79/05

ეროვნული
ბიბლიოთეკა